# თალღა

თ ფ ი ლ ი ს ი

ოთხშაბათი, 8 (20) ნოემბერი.

1906

წლიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.


თფილისის სამხედრო-საველე სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა სოზიევს.—ელისავეტპოლში მაჩრის უფროსის მკვლელს სამხედრო საველე სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.—როგოგის ახლოს მატარებელზე თავდამსხმელთა მეთაურნი დაუჭერიათ.—მეწარმეობელები ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებას ადგენენ.


19 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 19



30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„თ ა ლ ღ ა“

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ რედაქციის კანტორაში—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., წლის ბოლომდის 2 მ. 50 კ.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს, თუ ავტორი განსაკუთრებით ამას არ ითხოვს; წერილობითი პასუხისათვის საჭიროა 7 კაპ. მარკა.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.

## აგენტების საყურადღებოთ!

**„გრიგალის“ რედაქცია სთხოვს ყველა აგენტებს დაუყონებლივ გაასწორონ ივლისის და ენკენისთვის ანგარიშები.**

ქართული წარმოდგენა

**ხ ა ზ ი ნ ი ს თ ე ა ტ რ შ ი**

ხუთშაბათს, 9 ნოემბერს 1906 წ. ქართული დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ამ სეზონში ცნობილი პიესა თავ. ალექს. სუმბათაშვილისა**

# ღალატი

დრამა ლეგენდა 5 მოქ. გ. ყიფშიძის ნათარგმნი.

**ზეინაბის როლს შეასრულებს ნ. ჩხეიძე**

მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ვ. გუნია**

ამ მოკლე ხანში თფილისში გამოვა

**ყოველ-კვირეული გაზეთი**

# „ახალი დროება“,

რომელიც განსაკუთრებით მუშათა პროფესიონალურ მოძრაობას და კავშირების საქმეს გაუწევს სამსახურს:

გაზეთის ფასი: თფილისში ერთი წლით—5 მ. ნახევარი წლით 2 მ. 50 კ.; სამი თვით 1 მ. 25 კ.; ერთი თვით 50 კ. თფილისს გარეთ რუსეთის საზღვრებში: ერთი წლით 6 მანეთი; სამი თვით 1 მ. 50 კ.; ერთი თვით 50 კ. საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 8 მ.; ნახევარი წლით 4 მან.; სამი თვით 2 მან.; ერთი თვით 80 კაპ. ცალკე ნომერი ყოველგან ღირს 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: თფილისი. მიხაილოვის პროსპექტი, სახლი № 102.


## საარჩევნო შეთანხმება

მომავალი არჩევნები სახელმწიფო დუმაში განსაკუთრებულ პირობებში წარმოებს. მთავრობა აშკარათ ხედავს, რომ ხალხის წარმომადგენლების მოუწვევლათ მას არ შეუძლია ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელში შერჩენა. ხედავს, რომ ვერც სტოლიპინის უმაგალითო რეპრესიებმა, ვერც „ლიბერალურმა“ დაპირებებმა, მშვიდობიანობა ვერ ჩამოაგდო, და საზოგადოების ეკონომიური ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ვერ ჩააყენა. მაშასადამე დუმის მოწვევა მისთვის თუმცა არა-სასურველი, მარა აუცილებელი მოვლენაა, რომელიც ხალხის რევოლიუციურმა სულისკვეთებამ მოახვია მას თავზე.

მარა მთავრობას სურს ეს აუცილებელი „ჭირი“—სახელმწიფო დუმა, თავის სასარგებლოთ გამოიყენოს. მისი მიზანია დუმაში ისეთი ელემენტები მოხვდეს, რომელიც მას მორჩილებას გაუცხადებენ; მათთან ერთათ „ხალხის წარმომადგენლების სახელით მთავრობას შეუძლია განაცხადოს, რომ ხალხს, აშკარაა, არ სურვებია მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა, რომ, მაშასადამე, მან სამართლიანათ გარეკა პირველი „კრამოლნიკური“ დუმა, რომელიც შფოთსა და მტრობას სთესდა ხალხსა და მთავრობას შორის, წინდა ამით სახელმწიფო საქმეებს და სხვ. ერთი სიტყვით მას შეუძლია თავის ძალმომრეობა ხალხის სურვილთან დაპირობს: შემდეგ მცირეოდენი, უმნიშვნელო რეფორმებით ეცდება თავისებურათ, ბიუროკრატიულათ გადაჭრას ის მწვავე კითხვები, კითხვები მიწის და თავისუფლების, რომელიც უმთავრეს კვანძს შეადგენს დღევანდელ რევოლიუციისას და ამით ხალხის შეუგნებელი ნაწილი რევოლიუციურ მოძრაობას ჩამოაშოროს. თავის-თავათ ცხადია ამას შედეგათ მოყვება რევოლიუციის დასუსტება და მთავრობის გაძლიერება.

ამნაირათ დუმაში რეაქციონურ-კონსერვატიული ელემენტების გაბატონება შეძლებას მისცემს მთავრობას ეს თავის ბატონობის იარაღათ გადააქციოს. ამ მიზნით მთავრობა ენერგიულათ ერევა არჩევნებში, თავს უყრის ყველა რეაქციონურ ძალებს „წმინდა რუსთა კავშირიდან“ დაწყებული, და „მშვიდობიან განახლების“ პარტიამდე. ამავე მიზნით მისი მორჩილი სენატი, თავის ცნობილი „განმარტებებით“ ფრთებს აკვეცს საარჩევნო კანონს და საარჩევნო ყუთიდან ერეკება სოფლის და ქალაქის რევოლიუციურ ელემენტებს.

პროლეტარიატის ინტერესები, ინტერესები მისი კლასობრივი ბრძოლისა, თხოულობენ, პირიქით მთავრობის ასეთ პლანების ჩაშლას და სახელმწიფო დუმის რევოლიუციის განვითარების და გაძლიერების იარაღათ გადაქცევას. ამიტომ ჩვენ უნდა დიდი ყურადღება მივაქციოთ დუმის არჩევნებს და ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ დუმაში ისეთი პარტიები გავაბატონოთ, რომელნიც გადაჭრილ და შეურიგებელ ბრძოლას უცხადებენ დღევანდელ პოლიტიკურ წყობილებას. რა გზით შეიძლება ამის მიღწევა?

ამის გამოსარკვევათ საჭიროა მომავალ არჩევნებში მონაწილე ძალთა განწყობილების გათვალისწინება. ამ მხრით კი მომავალი არჩევნები დიდათ განსხვავდება წინანდელისაგან. პირველ არჩევნებში თითქმის ყველა ოპოზიციურ-რევოლიუციური პარტიები გარდა კადეტებისა მთელ რუსეთში (კავკასიაში და ციმბ. სოც.-დემ. ილებდენ მონაწილეობას) უარყოფდენ არჩევნებში მონაწილეობას. ამნაირათ საარჩევნო ასპარეზზე რჩებოდა ერთათ ერთი პროგრესიული პარტია—კადეტები, და ამიტომ ხალხის ყველა ოპოზიციური და რევოლიუციური ელემენტები მის გარშემო იყრიდენ თავს. ამნაირათ ოპოზიციის ძალები მილიანათ, შეერთებულათ მოქმედებდენ და რეაქციონური პარტიები ცალ-ცალკე იბრძოდენ და ამით მათი დამარცხება უზრუნველყოფილი იყო. სულ სხვაა დღეს. მართალია ხალხის შეგნება წარსულ არჩევნებს შემდეგ შესამჩნევათ გაიზარდა, მართალია პირველი დუმის მოღვაწეობამ დიდი პოლიტიკური აღზრდა მისცა ხალხს და თვალი გაახელინა, მარა სამაგიეროთ ახლა მისი ძალები დაყოფილი იქნებიან სხვა და სხვა პარტიებ შორის, რადგან დღეს ყველა პარტიებმა უკან დაიბრუნეს თავის ბოიკოტის ტაქტიკა და საარჩევნო კამპანიაში ჩარევას ფიქრობენ. მთავრობის პარტიები კი, პირიქით ახლა შეკავშირდენ და კამპანიის დროს ერთ რაზმათ გამოილაშქრებენ ყველა პოლიტიკურ პარტიების წინააღმდეგ. ამიტომ სადაც მათი ძალები აღემატება პროგრესიულ პარტიების ძალას, ცალცალკე აღებულს, ისინი სრულ გამარჯვებას მოიპოვებენ მიუხედავათ იმისა, რომ საერთოთ ამრჩეველთა უმეტესობა ოპოზიციური იქნება. უბრალო მაგალითი დაგვანახვებს ამის სიმართლეს. ვთქვათ რომელიმე ქალაქში 30,000 ამრჩეველია, აქედან მთავრობის პარტიებს 13,000 ხმა აქვთ, კადეტებს—12 ათასი და სოც.-დემოკრატებს 5 ათასი. რადგან კანონით არჩეულათ ითვლება ის, ვისაც შედარებით მეტი ხმა ამოუვა, და ხელმეორეთ არჩევნები უარყოფილია, ცხადია, ამ ქალაქიდან წარმომადგენლათ გავა სახ. დუმაში რომელიმე შავრაზმელი და არა კადეტი ან სოციალდემოკრატი. და ეს იმიტომ, რომ მათ ერთმანეთის მხარის დაჭერა არ მოისურვეს და ამით ერთმანეთი დაასუსტეს. მათ რომ ერთმანეთში მოელაპარაკნათ და ერთმანეთის მხარის დაჭერა გადაეწყვიტათ იმ შემთხვევაში სოც.-დემ. და კადეტების ხმები ერთათ 17 ათას შეადგენდენ და დუმაში დეპუტატათ პროგრესიული კანდიდატი გავიდოდა. აშკარაა, ასეთ პირობებში პროგრესიულ პარტიებთან შეთანხმების უარყოფა ეს მთავრობის და მის პარტიების დახმარება იქნებოდა. და ეს კი მუშათა კლასისთვის და მისი პარტიისთვის ხელსაყრელი არაა.

მომავალ არჩევნებში მუშათა პარტია ერთი მხრით უნდა ებრძოლოს ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიებს და თავის პროლეტარული დროშა, პროლეტარული პროგრამა დაუპირდაპიროს დანარჩენ პარტიების ბურჟუაზიულ-ნაციონალურ მისწრაფებებს. მეორე მხრით ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიებთან ერთათ ებრძოლოს მთავრობის პარტიათა კოალიციას; და აი ეს მეორე მიზანი მოითხოვს მისგან სხვა პარტიებთან შეთანხმებას.

მაშასადამე შეთანხმების მიზანია მთავრობის პარტიათა დამარცხება და ამიტომ მას ადგილი უნდა ქონდეს მხოლოდ იქ, სადაც მთავრობის პარტიებს საგრძნობელი გავლენა აქვთ და ოპოზიციურ ძალთა დანაწილებას შეუძლია მათი სრული დამარცხება გამოიწვიოს. შეთანხმებები უნდა მოხდეს არჩევნების პირველ საფეხურებზედაც, ისე როგორც მეორეზე, რადგან ხშირათ რწმუნებულთა და ამრჩეველთა არჩევნები საბოლოოთ სწყვეტენ მთელ კამპანიის ბედ-იღბალს. ჩვენ უნდა მხარი დავუჭიროთ სხვა პროგრესიულ პარტიებს იქ, სადაც საკუთარი ძალები შედარებით სუსტია და საკუთარი კანდიდატების გაყვანის იმედი არა აქვს, და სამაგიეროთ მათი დახმარებით გავიყვანოთ ჩვენს კანდიდატებს იქ, სადაც ისინი ჩვენზე შედარებით სუსტი არიან. ამნაირათ შეთანხმებების უმთავრესი მიზანია სასურველი დეპუტატების გაყვანა სახელმწიფო დუმაში. ეს კი სრულიადაც არ თხოულობს ჩვენი პარტიისგან შეთანხმებებს საარჩევნო აგიტაციის დროს. ასეთი შეთანხმებები ჩვენი პარტიისგან—თავის მკვლელობა იქნებოდა; ის ამით პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას დაბნელებდა და თვითონაც დემოკრატიულ პარტიებში გაითქვიფებოდა. მაშასადამე საარჩევნო აგიტაცია ჩვენმა პარტიამ უნდა სრულიად დამოუკიდებლათ აწარმოოს. აქ მან უნდა მხოლოდ თავის დროშის გარშემო შემოიკრიბოს თავისი ძალები და დაუპირდაპიროს ის ყველა დანარჩენ პარტიებს, როგორც ბურჟუაზიულთ.

მათთან საარჩევნო შეთანხმებების შეკვრა შეიძლება მხოლოდ არჩევნების დღისათვის, როცა საქმე კენჭის მიცემაზე მიდგება. ამგვარათვე სასურველი არაა შეთანხმებები მუშათა კურიებში, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიისათვის საკუთარ ძალების დათვლას, მისი გავლენის გამორკვევას მუშათა მასსაზე. აქ ეს არც საჭიროა, რადგან მუშათა კლასი მთავრობის მომხრე პარტიათა გავლენა მინიმალურია, და ჩვენ პარტიას უმთავრეს თ სხვა რევოლიუციურ პარტიებთან ექნება საქმე.

ასეთია საზოგადოთ ჩვენი შეხედულება საარჩევნო შეთანხმებების შესახებ მომავალ დუმის არჩევნებში.

განსაკუთრებით ადგილობრივ მუშათა კლასისათვის იბადება კითხვა, საჭიროა თუ არა შეთანხმება ჩვენში, ამიერ კავკასიაში, სხვა რევოლიუციურ-ოპოზიციურ პარტიებთან?

ამის პასუხი აშკარაა. მთავრობის ძალები ჩვენში ძლიერ სუსტია, მის მომხრე პარტიებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ ღრმა კვალი დააჩნიონ საარჩევნო კამპანიის მსვლელობას; მით უმეტეს არ შეუძლიათ საკუთარი კანდიდატების გაყვანა. ამ მხრით ისინი ჩვენში არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ. ამნაირათ ჩვენში ბრძოლის მოედანი პროგრესიულ პარტიებს რჩება და საარჩევნო ომიც უმთავრესათ მათ შორის იწარმოებს.

ვინ გაიმარჯვებს, ბურჟუაზიული პარტიები, რომელნიც ძლიერ შეეჩვიენ სოციალისტურ სახელების დარქმევას, მუშაობა ქოქავით თავის თავის აღიარებას, თუ მუშათა პარტია? ისინი, რომელნიც მიუხედავათ სოციალისტურ სახელწოდებისა, ყოველთვის სოციალდემოკრატიის, ამ ერთათ ერთ ხამდვილი მუშათა პარტიის წინააღმდეგ ერთდებიან და მის შესამუსრავათ ფარავენ ფრთხილს, თუ თვითონ მუშათა პარტია, მუშათა გულიდან გამოსული? აი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვიტოს მომავალმა არჩევნებმა ჩვენში. ამნაირათ აქ ბრძოლა უმთავრესათ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის გაიმართება და ჩვენი პარტია, როგორც ერთ-ერთი შეგნებული გამომხატველი მუშათა კლასობრივი ინტერესებისა, ვალდებულია თავგამოდებით ებრძოლოს ყველა ბურჟუაზიულ პარტიების სულის კვეთებას, გამოაშკარავოს მათი მისწრაფება—მუშათა კლასის თავზე ბურჟუაზიული დროშის აფრიალების და ამით გაღრმავოს და გაძლიეროს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება. ამიტომ ყოველი საარჩევნო შეთანხმებები მათთან ამიერ კავკასიაში უნდა უარყოფილ იქნეს არჩევნების როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე საფეხურებზე.

## ღია წერილი შეგნებულ მუშებისადმი

გ. პლეხანოვისგან გაზეთ „ტოვარიშჩ“-ს მიუღია შემდეგი მოწოდება შეგნებულ მუშებისადმი:

„ამხანაგებო! მოახლოვდა არჩევნები ახალ დუმისთვის. ამ არჩევნების შედეგზეა დამოკიდებული რუსეთის პოლიტიკური თავისუფლების საქმე. თუ მთავრობამ როგორმე მოახერხა ახალ დუმაში თავისიანების გაყვანა, ან მაინც და მაინც ისეთ პირების, რომელნიც მზათ არიან შეურიგდენ მას ცოტა რამ დათმობით, მაშინ ბევრნი იტყვიან: მთავრობა არა სტყუოდა პირველ დუმასთან ბრძოლაშიო; მაშინ ბევრნი დაიჯერებენ იმ ზღაპარს, ვითომც რუსეთის ხალხს არ სურდეს პოლიტიკური თავისუფლება; და მაშინ მთავრობა მოიპოვებს ახალს, უფრო ძლიერ იარაღს განმათავისუფლებელ მოძრაობასთან გასამკლავებლათ.

მთავრობამ კარგათ იცის ეს და სწორეთ ამისთვის იკრეფს ყოველ ძალას არჩევნებზე საბრძოლველათ. არ დავივიწყოთ, რომ მას ეხლა მხარს მისცემენ მცხოვრებთა ისეთი ნაწილები, რომელნიც ერთ დროს სრულიად უნდობლათ უყურებდენ მას: პროლეტარიატის „გადაჭარბებული“ მოთხოვნებით და გლეხების აგრარულ მოძრაობით დაშინებული კაპიტალისტები და მიწათმფლობელები.

ამ მხრივ პოლიტიკურ თავისუფლების ბედ-იღბალი დღეს უფრო საფრთხეშია, ვიდრე ამ ერთი წლის წინათ. მართალია, მეორე მხრივ, აშკარაა ისიც, რომ მთავრობის რეაქციონური პოლიტიკა უფრო და უფრო უხილავს თვალებს მასსის ყოველათ შეუგნებელ ელემენტებსაც კი, მაგრამ მთავრობა შეკავშირებულია, ხალხი კი ჯერ არა. ამიტომ მთავრობის პოზიცია უფრო სასარგებლო პირობებშია, ვიდრე ხალხისა.

უორგანიზაციოთ შეუძლებელია შეკავშირებულ მტერთან ბრძოლა. აი სწორეთ ამიტომ ჩვენ პირველ მიზანს შეადგენს ჩვენი ძალების შეკავშირება, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ომში მოხერხებაა საჭირო ისეთ ადგილს უნდა დავაყენოთ ჩვენი ძალები, რომ რაც შეიძლება მეტი ვნება მივაყენოთ მტერს. და რომ ამ მიზანს მივაღწიოთ, საჭიროა გვახსოვდეს, რომ გარდა ჩვენ პარტიისა—პროლეტარიატის პარტიისა—რუსეთში არსებობენ სხვა პარტიებიც, მზათ არიან იბრძოლონ პოლიტიკურ თავისუფლებისათვის. ეს უკანასკნელი პარტიები ისე შორს არ მიდიან წინ, როგორც პროლეტარიატის პარტია, მაგრამ ისინი მაინც წინ მიდიან და რამდენათაც წინ მიდიან, იმდენათ მხარი უნდა მივცეთ მათ ჩვენივე სარგებლობისათვის. მათი მხარის მიცემით ჩვენ ვაბევრებთ ჩვენ ძალების ნაყოფს. ეს უნდა გვახსოვდეს ყოველთვის და ყველგან, მეტადრე ახალ სათათბიროს არჩევნების დროს.

თუ ყველა არა-პროლეტარულ პარტიას ჩვენ მტრულის თვალით შევხედავთ, როგორც იმ პარტიებს, რომლების გამარჯვებაც პროლეტარიატისთვის ყოველთვის საზარალოა, ამით ჩვენ დიდ გაუწონელ ტაქტიკურ შეცდომას: ჩვენ დავასუსტებთ იმათ, ვისაც შეეძლოთ ჩვენთვის ზურგის გამაგრება, და გავამაგრებთ იმათ, ვისგანაც მოქმედებაში მხოლოდ ჯოხსა და მათრახს უნდა ველოდეთ. ასეთი ქცევა თავის თავის დაღუპვაა, თავის საქმის ღალატია.

არჩევნების დროს დიდის წინდახედულობით უნდა მოვიქცეთ. სადაც ეჭვი არ არის, რომ ჩვენს საკუთარ კანდიდატს გავიყვანთ, იქ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ ვიმოქმედოთ ცალკე, სხვა პარტიების დაუხმარებლათ; იქ კი, სადაც, იმედი არა გვაქვს, რომ ჩვენი კანდიდატი გაიმარჯვებს, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ მოახლოებულ სხვა პარტიებთან, რომელთაც კი სურთ ებრძოლონ ძველ წესწყობილებას. თუ ასე არ მოვიქეცით, მაშინ არეულ-დარეულობა მოხდება. არჩევნებზე, ვთქვათ, გამოვა „კადეტი“ და გავა ოქტომბრისტი ან თვით შავრაზმელი. მთავრობასაც ეს უნდა: სიხარულით ცეკვას დაიწყებს ჩვენ შეცდომის გამო; და ჩვენ არა თუ გავაფუჭებთ ჩვენ საქმეს, არამედ ლაფს დავასხამთ ჩვენ პარტიას და ამით სირცხვილს გამოვიწვევთ როგორც რუსეთში, ისე საზღვარ-გარეთ.

ამხანაგებო, ახლოვდება დიდათ მნიშვნელოვანი და ყველაფრის გადამწყვეტი დრო. ჩვენ ტაქტიკაზეა დამოკიდებული მთავრობის გამარჯვება თუ დამარცხება. ვეცადოთ, რომ ეს ტაქტიკა რაც შეიძლება მეტათ გამჭრიახი იყოს. პოლიტიკური გონიერობა მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენ თანამათ შევუთანხმდეთ არა-პროლეტარულ პარტიებს, ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ეს საჭიროა რეაქციის დასამარცხებლათ.

ჩვენ ნება არა გვაქვს სხვანაირათ მოვიქცეთ.

ვინც ცრუ-გაგებულ შეურიგებლობით არ მოისურვებს ზემოხსენებულ შემთხვევებში ოპოზიციონურ არა პროლეტარულ პარტიებთან შეთანხმებას, ის საქმით ეხმარება უპირველეს მთავრობას, ესე იგი, იქცევა ისე, როგორც თავისუფლების მტერი. მე ჩემ მოქალაქეობრივ მოვალეობათ ვთვლი გითხრათ ყველა ეს, რადგან მოახლოვდა არჩევნები.

გ. პლეხანოვი

# პოლიტიკური მიმოხილვა

**მთავრობა და არჩევნები.**

ახლოვდება არჩევნები და მთავრობა საშინელ საგონებელშია ჩავარდნილი. რამდენ ხრიკებს მიმართა, რომ არჩევნების ფალსიფიკაცია მოეხდინა, რამდენი ძალმომრეობა იხმარა, რომ მემარცხენე პარტიებს მომავალ სათათბიროს კარი დაუკეტოს, რომ სათათბირო თავის მონა-მორჩილ დეპუტატებისგან შეადგინოს. და რა მოიტანა ამდენმა მეცადინეობამ? რა ნაყოფი გამოიღო ამოდენა ძალმომრეობამ? როგორც გაზეთ „სტრანას" შეუტყია, ამ უკანასკნელ 3—4 კვირას, ყველა გუბერნატორებისგან მთავრობას ძალიან უიმედო ამბები მოსდის; სულ ყველანი ერთხმათ ამბობენ, მთავრობას იმედი არ უნდა ქონდეს, რომ მომავალ სათათბიროში უმრავლესობა მთავრობის მომხრე იქნებაო. პოლიციის დეპარტამენტმა მოახდინა ანკეტა (შეკითხვა) ამ საგნის შესახებ და აი რანაირი პასუხები მიიღო სხვა და სხვა გუბერნიებიდან. ერთი გუბერნატორი იტყობინება, რამდენი ვეცადე და მაინც ვერ მოვახერხე მთავრობის მომხრე საზოგადო მოღვაწეების წრის შედგენაო. სულყველანი საქმეს გულცივათ ეპყრობიან, სულყველანი მოიქანცნენ და მთავრობის წინააღმდეგ გაბოროტებულნი არიანო. საზოგადოებაზე გავლენა აქვთ მხოლოდ უკიდურეს მემარჯვენე და უკიდურეს მემარცხენე პარტიებსო. მეორე გუბერნატორი იწერება, ჩინოვნიკები სრულებით არ არიან გამსჭვალულნი მთავრობის პოლიტიკით, ამიტომ ისინი ვერაფერს დახმარებას გაუწევენ მთავრობას, ბევრი მათგანი მავნე მიმართულებით არიან გამსჭვალულნი; მთავრობას არ შეუძლიან მათ კანტროლი გაუწიოს; ამიტომ უკეთესი იქნება ჩინოვნიკებს საარჩევნო უფლება სულ მთლათ წაერთვასო. მესამე გუბერნატორის აზრით, ერობაში კონსერვატიულ ელემენტების გამარჯვება მთავრობისთვის არაფერს საიმედოს არ წარმოადგენს.

ამ აზრისანი არიან ადმინისტრატორები ზოგიერთა მათგანი უმატებს, თუ მეორე სათათბიროსაც დათხოვნა დასჭირდა, ეს სახიფათოს არას წარმოადგენს, რადგან ხალხი წარმომადგენლობით მმართველობისთვის მომზადებული არ არისო. სამინისტრო მაინც გულს არ იტეხს და აპირებს მომავალ არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს. თუ მეორე დუმასაც დათხოვნა დასჭირდა, სამინისტრო, ეტყობა, არც ამას დაუდგება წინ, რადგანაც, როგორც პობედონოსცევს უთქვამს, რუსეთში არ არსებობს საზოგადო აზრი, რომლისაც სამინისტროს უნდა ეშინოდესო.

**კადეტების ც. კ-ის უკანასკნელ კრების გამო.**

კადეტები დიდ სამზადისში არიან. ისინი მტკიცეთ არიან დარწმუნებულნი, რომ მომავალ სათათბიროში უმრავლესობა ისევ კადეტებისა იქნება; ამიტომ ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე გადაუწყვეტიათ თავიანთ საარჩევნო პლატფორმას საფუძვლათ დაუდვან დუმის წინაშე პასუხის მგებელ სამინისტროს დანიშვნის მოთხოვნა. რომ ამ ნაბიჯმა მეტის მეტათ არ დააფრთხოს მთავრობა და სათათბიროს მემარჯვენე ელემენტები, ცენ. კომიტეტის ერთი ნაწილი იმ აზრს ადგა, რომ კონ. დემ. პარტიამ უარი არ უნდა თქვას მემარჯვენე პარტიებთან შეთანხმებაზეო „ჩვენ კანდიდატების განსაზღვრულ პროპორციის გასაყვანათ მემარჯვენე ელემენტებთან შეთანხმება ჩირქს ვერ მოსცხებს ჩვენს პარტიას". აი რა აზრს ადგა ერთი ნაწილი ცენ. კ-ისა, სტრუვეს და გრედესკულის მეთაურობით. შეთანხმების მადა ამ უკანასკნელთ ისე გაღვიძებიათ, რომ მზათ არიან მხარი დაუჭირონ არა მარტო დემ. რეფორმების პარტიის წარმომადგენლებს—კუზმინ-კარავაევს, მ. კოვალევსკის და სხ., არამედ თავით მშვიდობიან განახლების პარტიის ლიდერს—შიპოვსაც კი, იმ შიპოვს, რომელიც ისე ბრწყინვალეთ გააშავეს თვით კადეტებმა წარსულ არჩევნებში. კადეტები ჭკვიანი ხალხია! რამდენათაც უფრო სირბილეს გამოიჩენენ მემარჯვენე პარტიების მიმართ, მით უფრო ძნელათ გაბედავს მთავრობა დუმის ხელმეორეთ გარეკას, მით უფრო ნაკლებ შეუშინდება მთავრობა სახელმწიფოს სათავეში კადეტების დაყენებას.

## ადგილობრივი პრესა.

ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის სამსახურში მოხუცებულ გაზ. „კავკაზ"-მა გასულ წლის 17 ოქტომბრის შემდეგ—როგორც იცით—„საექვო ყოფა-ქცევა" დაიწყო. მან ახალგაზდა თავისუფლებასთან ფლირტი გამართა. ამას რა თქმა უნდა ვერ მოიწონებდენ ბიუროკრატიულ ტრადიციებისა და ზნეობის დამცველნი—„პატრიოტული საზოგადოება", „წმინდა რუსები". იმ დროიდან მოკიდებული დღევანდლამდე „კავკაზსა" და პატრიოტებ შორის სწარმოებდა ჩუმი, შინაური სოჯახო ბრძოლა. დღეს კი ეს ბრძოლა უკვე გაზეთის ფურცლებზეა გამოტანილი.

„გოლოს კავკაზ"-ის ფურცლებზე (№ 156) ვინმე ტარატინოვი სწერს „კავკაზ"-ის რედაქტორს ოპოჩინინს ღია წერილს, სადაც ამ გაზეთის უმთავრესი დანაშაული ასე არის აღნიშნული: იმ დროს — 17 ოქტომბრის შემდეგ—როდესაც უკიდურესი მემარცხენე პარტიები შესანიშნავის ერთსულოვნებით და სიმტკიცით ისწრაფოდენ ხელში ჩაეგდოთ მთელი პერიოდული ლიტერატურა, რათა ამრიგათ გადაექციათ საზოგადოებრივ რწმენა-შეხედულებათა ერთგვარ დიქტატორებათ; როდესაც მემარცხენეთა გაზეთების რიცხვი იზრდებოდა სოკოებივით, თფილისში იცემოდა ისეთი გაზეთები, როგორიც იყო „ვოზროჟდენიე", როდესაც ყველა ამ გაზეთებმა იქამდის მიაღწიეს, რომ „თფილისმა არამც თუ „გამოიღვიძა", არამედ ტერორით შეძრწუნდა და დაიწყო აქამდის არნახული დაუჯერებელი ანარქია, ანარქია საზოგადოებაში, ანარქია პრესაში, ანარქია სკოლებში და ყველგან; როდესაც ასე გაბატონდენ მემარცხენე პარტიები „ერთი გვიბრძანეთ, გეთაყვა, რა სთქვა ანუ რა გააკეთა კარგი უძველეს რუსულმა (კურსივი ავტორისაა) გაზეთმა, რუსულ კავკასიის ორგანომ—„კავკაზმა"?

—არაფერი—განაგრძობს „გოლ. კავ."—არაფერი იმის მეტი, რომ ან თვითონაც ბანს აძლევდა მემარცხენეთა გაზეთებს და ან ყურს იყრუებდა იმის შესახებ, რაიც სრულიად აღმაშფოთებელი იყო და დასაგმობი.

როგორცა ჰხედავთ, ეს ყველაფერი მეტათ მძიმე და მიუტევებელი დანაშაულია, რადგან „პატრიოტების" და „წმინდა რუსების" აზრით რუსეთში რევოლიუცია ვერ გაიქაჰანებდა, რომ მთავრობა დროზედ სპობდეს ყველა ოპოზიციონურ ელემენტებს და სწვავდეს ყველა პროგრესიულ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს. აღნიშნულ დანაშაულისთვის „გოლ. კავკ."-ში ტარატინოვი ითხოვს ვისგანაც ჯერ არს, რომ „კავკაზი" ჩამოერთვას ეხლანდელ რედაქტორს და გადაეცეს უფრო სარწმუნო პირს, უფრო ერთგულ დარაჯს „წმინდა რუსეთისას".

მოგეხსენებათ სახელმწიფო ქადა მოხელეებისთვის ადვილათ დასათმობი არ არის და „კავკაზის" რედაქტორიც ძალიან შეფუცხუნებულა „გოლ. კავ."-ის იერიშით. მოხსენებულ ბრალდებაზე პასუხს აძლევს თვითონ ბ-ნი ოპოჩინინი. იგი სრულიად სამართლიანათ აღნიშნავს, რომ მემარცხენე პარტიების თავგასულობას არამც თუ უყურადღებოთ არ სტოვებდა, პირ-იქით:

„მრავალ, მეტის-მეტათ ცხარე სტატიებში ჩვენ (ე. ი. „კავკაზი") ავმხედრდით წინააღმდეგ გაფიცვებისა, ძალდატანებითი მოქმედებას და რევოლიუციონურ აჯანყებისას; ჩვენ ვუჩვენებდით ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებსა და პედაგოგებს, რომ მათი გაფიცვები იყო სრულიად უაზრო, უმიზნო, უზნეო და ავაზაკური; ჩვენ მუდამ აღშფოთებული ვიყავით იმის გამო, რომ პოლიტიკა შედიოდა სკოლებში, ჩვენ ზიზღით ვკვეთდით ქართველების ავტონომიურ და ავტოკეფალიურ ფანტაზიებს".

შემდეგ ასეთის დეკლარაციისა, „კავკაზის" რედაქტორი ეშმაკურათ შენიშნავს თავის ოპონენტს: „თუ ბ-ნი ტარატინოვი საქმეს უყურებს „წმინდა რუსების კავშირის" და რეაქციონურ-მონარქისტულ პარტიების თვალთახედვის წერტილიდან და გვერდში უდგება ბ-ნ გრინგმუტსა და მამა ვოსტორგოვს", მაშინ მას თავ-გასულ მემარცხენეთ და რევოლიუციონერათ მოეჩვენება არა მარტო ოპოჩინინი და „კავკაზის" ეხლანდელი მიმართულება, არამედ თვით 17 ოქტომბრის მანიფესტი და მთავრობისაგან ამ აქტის ყველა შემდეგი განმარტებანი და განმავითარებელი საკანონმდებლო ზომები. რაკი „კავკაზს" ეჭვი შეაქვს „გოლოს კავკაზი" „წმინდა რუსების" და „პატრიოტების" ორგანო უნდა იყოსო, ოპოჩინინი როლში შედის და პატეტიურათ მიმართავს „მოწინააღმდეგეთ":

„იყო დრო, როდესაც რუსის საშინაო და განაპირა ქვეყნების პოლიტიკა სავსებით ეთანხმებოდა თქვენ რწმენას და იმ პოლიტიკას ხელმძღვანელობდენ პლეჰვე, პობედონოსცევი, თ-დი გოლიცინი, ღენერალი ბობრიკოვი და სხ.; მაშინ „კავკაზის" რედაქტორათაც ისეთი პუბლიცისტი იყო, როგორიც არის გელიჩი, თანამებრძოლი და თანამოაზრე მამა ვოსტორგოვისა, მაგრამ შემდეგ თ-დ სვიატოპოლკ-მირსკისა და გრაფ ვიტეს ხელში ეს პოლიტიკა შეიცვალა, ხოლო 1905 წ. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემით, თანახმათ ხელმწიფე იმპერატორის განუდრეკელ სურვილისა, იგი (სახელმწიფოს პოლიტიკა) ერთბაშათ და საბოლოოთ გადატრიალდა ლიბერალიზმისაკენ; და ამიტომაც ადვილ საკვირველია, რომ ეხლა „კავკაზი" ისეთი პუბლიცისტის ხელშია, როგორიც არის ოპოჩინინი... ამიტომ ბ.ბ. ტარატინოვებო სიზრაზისაგან ღრიჭნეთ თქვენი ფრჩხილები, როგორც ჩვენ ვღრღნიდით მთელი 25 წლიწადი, რომლის განმავლობაში მეფობდა რეაქცია".

დაბოლოს ბ-ნი ოპოჩინინი იმასაც კი აცხადებს, რომ იგი ერთგულათ ემსახურებოდა 17 ოქტომბრის მანიფესტში გატარებულ პრინციპებს მაშინაც კი, როდესაც ეს პოლიტიკურ დანაშაულობათ იყო აღიარებული.

ერთი რამ არის მხოლოდ საკითხავი. თუ „კავკაზის" ხელმძღვანელი გულწრფელათ ფიქრობს იმას, რასაც სწერს, მაშინ რით აიხსნება, რომ იგი ასე ბეჯითათ, ასე სისტემატიურათ იცავს იმ მთავრობის პოლიტიკას, რომელიც უდიერათ სდევნის თვით ზომიერ ლიბერალებს, რითი აიხსნება, რომ „კავკაზი" არა მარტო იცავს, არამედ კიდეც ამხნევებს და აქეზებს იმ პოლიტიკას, რომელიც სრული უარყოფაა თვით 17 ოქტომბრის მანიფესტისა? ეს აიხსნება იმ „უბრალო" გარემოებით, რომ „განახლებულ" „კავკაზისათვის" ლიბერალიზმი და კონსტიტუცია მხოლოდ სიტყვების რახა-რუხია და ნამდვილათ კი ეს გაზეთი და მისი რედაქტორი არსებითათ არაფრით არ განსხვავდებიან „წმინდა რუსებისა" და იმათ ორგანოებისაგან. მაშ რაღამ გამოიწვია მათ შორის აქ აღნიშნული უთანხმოება და შეტაკება? ამის მიზეზი მომდინარეობს პეტერბურგიდან. ამას წინათ—საარჩევნო კამპანიის გახსნისათანავე—მინისტრ-პრემიერმა საჯაროთ გამოაცხადა, რომ იგი კავშირსა სწყვეტავს „წმინდა რუსებთან" უკიდურეს მონარქისტებთან და ყველა შავრაზმელებთან.

სტოლიპინის საარჩევნო „მანიერს" უმალვე უნდა მიხვედრილიყვენ მთავრობის მოსამსახურე გაზეთები და დამორჩილებულიყვენ მაღლიდან მიღებულ ინსტრუქციას: ე. ი. სიტყვიერათ უნდა გაუდგნენ „წმინდა რუსთა კავშირს", ფაქტიურათ კი უნდა ემსახურონ იმავე საქმეს, რასაც ემსახურებიან ყველა შავრაზმელები. რუსეთის ოფიციალური გაზეთები იმ დრომდე ვერ მოიშლიან შავრაზმელებთან თვისტომობას, ვერ მოსპობენ მათთან საიდუმლო კავშირს, ვ-დრე ძველი რეჟიმი საბოლოოთ არ მოისპობა და ქვეყნის სათავეში არ მოექცევა საპარლამენტო მთავრობა.

# ახალი ამბები

✦ სამხედრო-საველე სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა **დათიკო სოზიევს**, რომელსაც ფარნაოზ კაცაძის მოკვლას აბრალებდენ.

✦ ბრიუსელიდან დღეს თფილისში **მოელიან ინჟენერ დირმანს**, რომელსაც მონდობილი აქვს—„ჟელიოსის" ფირმიდან ელექტრონის ტრამვაის ყოველნაირი მოწყობილობა ჩაიბაროს.

✦ უსახელო საზოგადოების **დირექტორმა ფრიდმანმა** დააკმაყოფილა მიხეილის საავათმყოფოს ადმინისტრაციის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ უსახელო საზოგადოებამ უფასოთ დაუთმოს საავათმყოფოს რენტგენის აპარატისათვის ელექტრონის ენერგია.

# ფელეტონი

—:—

### „წითელი კვირა" მანჰეიმში

### III*).

ხუთშაბათს მხოლოდ ნახევარი დღე იმუშავა პარტეიტაგმა. ნაშუადღევის ორ საათამდე, როგორც ვიცით წინა წერილიდან, მან იქონია სჯა-ბაასი საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაზე. დანარჩენი დრო მან მოანდომა ჰეიდელბერგისკენ გასეირნებას. მანჰეიმის და ჰეიდელბერგის მუშებმა მოისურვეს დელეგატების გართობა ოთხი დღის განუწყვეტელ სხდომების შემდეგ და კიდეც ჩინებულათ შეასრულეს თავიანთი განზრახვა. ჰეიდელბერგამდე სულ ნახევარი საათის გზაა, რომელიც სიგანგებოთ აყვანილ ჩქარი მატარებლით გავიარეთ. იქ დაღამებამდე ვათვალიერებდით ენა-წყლიან მუშების ხელმძღვანელობით უძველეს ციხედარბაზებს, რომელნიც ნახევრათ დაქცეული, ნახევრათ განახლებული არიან. იქვე ინახებიან ძვირფასი არხეოლოგიური ნაშთები. თვით ქალაქი შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენს: ერთის მხრით ლამაზი მთა-გორა ხსენებულ კოშკებით, მეორე მხრით მდინარე ნეკარი; შუაში გრძლათ გადაშლილია უძველესი საუნივერსიტეტო ქალაქი ჰეიდელბერგი.

საღამოს 7 საათზე გაიმართა ქალაქის უმშვენიერეს დარბაზში ფრიად საინტერესო ბანკეტი, რომელიც გაგრძელდა 12 საათამდე. პირველათ სიტყვა წარმოსთქვა ერთმა ადგილობრივმა მუშამ. მან გადასცა მოსულებს მისი ამხანაგების ალტაცება და მადლობა, რომ მათმა მოწოდებამ უნაყოფოთ არ ჩაიარა და მით ისინი „მუშების პარლამენტის" ნახვის ღირსი გახდენ. მუშების ხორო და მუსიკა აქაც სიამოვნებას გვრიდენ დამსწრეთ. აღსანიშნავია კიდევ ის, რომ პარტეიტაგზე ჩამოსულმა რუსებმა ბებელის და სხვების თხოვნით რამდენიმე სარევოლიუციო ტაეპი იმღერეს. სადღესასწაულო სიტყვები ბევრი ითქვა. მათ შორის საუკეთესო იყო ბელგიის ცნობილ სოციალისტის ანზელეს სიტყვა ფრანგულ ენაზე, რომელიც მაშინვე გადათარგმნა ჩინებულათ ჰენრიეტა როლანდ ჰოლსტმა. მან სიამოვნებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ მანჰეიმის პარტეიტაგი წინააღმდეგ მტრების მოლოდინისა მწყობრათ და უშფოთველათ მიმდინარეობს, რასაც, უეჭველია, პოლიტიკურ პარტიის და პროფესიონალურ ორგანიზაციებ შორის მტკიცე კავშირი მოჰყვება.

ამის შემდეგ მე ისევ გადავალ პარტეიტაგზე. პარასკევ დილას გაიხსნა სხდომა. თავმჯდომარის წინადადებით კრება საერთო პოლიტიკურ გაფიცვის რეზოლიუციის მიღების შემდეგ შეუდგა რამდენიმე წინადადებათა გარჩევას პარტია და პროფესიონალების ურთიერთ დამოკიდებულებათა შესახებ. მათ შორის უმთავრესი ორი იყო, რომელთაც მოკლეთ მოვიყვან.

პროფესიონალთა ერთმა მოთავეთაგანმა ფ. ელმა წარუდგინა პარტეიტაგს რეზოლიუცია, რომელიც თხოულობს ლოკალისტთა პროფესიონალურ ორგანიზაციებთან უფრო სასტიკ ბრძოლას პარტიის მხრით, მათ გამორიცხვას პარტიიდან (ადგილობრივ ორგანიზაციების დახმარებით) და მასთან პარტიის პრესის ლახურვას ლოკალისტთა განცხადებისთვის; აგრეთვე პარტიულმა სტამბებმა არ უნდა დაბეჭდონ მათი ორგანოები. გამგეობა და სარევიზიო კომისია საზოგადოთ დაეთანხმენ ელმს, მხოლოდ მისი რეზოლიუცია რამდენათმე შეცვალეს. ისინი, მაგალითათ, პირდაპირ არ იწვევენ ორგანიზაციებს ლოკალისტების გამოსარიცხათ, არც ორგანოების და განცხადებების ბეჭდვას უკრძალავენ, ლიუბეკის პარტეიტაგის (1901 წ.) რეზოლიუციას იმეორებენ ამ საგანზე და ბოლოს ურჩევენ ლოკალისტებს ცენტრალურ კავშირებს შეუერთდენ. ელმა თავის წინადადების დასაბუთების დროს ბევრი რამ საინტერესო თქვა. მან განაცხადა, რომ ლოკალისტები ანარქო-სოციალიზმის მოტრფიალენი არიან და თავიანთ უახლოეს დანიშნულებათ სახავენ არა ბურჟუაზიულ პარტიების, არამედ სოციალდემოკრატიის და პროფესიონალთა ცენტრალურ კავშირთა დათრგუნვას. ისინი ფორმალურათაც გამოეყვენ პარტიას, რადგან თავიანთ კონგრესებზე სოციალდემოკრატიის პროგრამის წინააღმდეგ გადაწყვეტილებებს ღებულობენ. ელმს მხარი დაუჭირეს მისმა ამხანაგებმა. მათ უკანვე წაიღეს ბოლოს თავიანთი წინადადება გამგეობის უფრო რბილ რეზოლიუციის სასარგებლოთ.

ელმს პირველათ უპასუხა „ერთობის" რედაქტორმა პუტლიცმა. მან განაცხადა: „მართალია ჩვენ ვღებულობთ ანარქისტებს ჩვენს ორგანიზაციაში, მაგრამ ეს სულაც არ ამტკიცებს, რომ ჩვენ სოციალდემოკრატიას ვებრძვით. მართალია, ჩვენ ცოტა სხვანაირათ გვესმის სოციალიზმისათვის ბრძოლა, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა პარტიაში სულაც არაა სახიფათო". პუტლიცის გარდა ილაპარაკეს ლედებურმა და როზა ლუქსემბურგმა. უკანასკნელის სიტყვა განსაკუთრებით საინტერესო იყო. მან თქვა დაახლოვებით: „ახირებული ხალხია ჩვენი პროფესიონალების მოთავენი! გუშინ ისინი გაცხარებით ებრძოდენ კაუცკის რეზოლიუციას იმ მოსაზრებით, რომ მისი შინაარსი ყველასათვის თავის თავათ საგულისხმოაო. დღეს კი ისინი გაცხარებული იცავენ აგრეთვე ყველასათვის საგულისხმო აზრს, რომ ჩვენ უნდა ვეომოთ ლოკალისტების ორგანიზაციულ ფორმებს და მათ ანარქისტულ მიდრეკილებას. ანარქიზმი გონებრივ უთავბოლობის ნაყოფია, მხოლოდ ნუ დაივიწყებთ, რომ იგი გერმანიაში რეაქციას წარმოადგენს ჩვენი რევიზიონიზმის წინააღმდეგ. აქ თხოულობენ პარტიის მარცხენა ფრთის საზღვრების სასტიკათ გამიჯვნას, მარჯვენა ფრთას კი კარლია სტოვებენ, რომ რაც შეიძლება მეტი რევიზიონისტები შემოძვრენ. აქ სამართლიანათ ებრძვიან ანარქისტების ფრაზებს, მაგრამ იმავე დროს საჭიროთ არ თვლიან რევიზიონისტებთან ბრძოლას. ერთმა მათგანმა, დავიდმა აღიარა, ჩვენი მოქმედება მარტო „კანონიერებაში" უნდა გამოიხატებოდესო. მეორემ, ბრინგანმა, განაცხადა საიდუმლო კონფერენციაზე—ჩვენი პარტიის საფუძველს „კლასობრივი ბრძოლა არ შეადგენსო". თუ ამ უკანასკნელთ არ რიცხავთ პარტიიდან, არც ლოკალისტების გამორიცხვა შეიძლება და ეს მით უმეტეს, რომ მათში მრავალი ყოჩაღი ამხანაგი ურევია. თუ გინდათ ანარქიზმის მოსპობა, მოსპეთ მისი უმთავრესი მიზეზი: ზურგი აქციეთ რევიზიონიზმს და ოპორტიუნიზმს *).

პარტეიტაგმა ხმის დიდი უმრავლესობით უარყო გამგეობის რეზოლიუცია და სამაგიეროთ მიიღო რიხარდ ფიშერის წინადადება, რომელიც ავალებს გამგეობას გ. კომისიასთან ერთათ კიდევ სცადოს ლოკალისტების ცენტრალურ კავშირებთან გაერთიანება და შედეგი მომავალ პარტეიტაგს აუწყოს.

მეორე წინადადება თხოულობს, რომ პარტიის გამგეობა ახლავე შეეცადოს გ. კომისიასთან მჭიდრო კავშირის დაფუძნებას. ამის მისაღწევათ საჭიროა: ა) მიწვეულ იქნას გამგეობის რამდენიმე წევრი გ. კომისიაში, აგრეთვე გ. კომისიის რამდენიმე წევრი—გამგეობაში სრული უფლებით. ბ) ხშირ-ხშირათ მართონ მათ საერთო სხდომები საერთო საქმეების მოსაგვარებლათ. გ) ნება მიეცეს მათ, საჭიროების დროს პარტიის და პროფესიონალთა საერთო კონგრესი მოიწვიონ. ამ წინადადების თავგამოდებით იცავდა ახალგაზდა ლიბკნეხტი, რომელმაც შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „თქვენ მიაღწიეთ პარტიის და პროფესიონალთა თანხმობას პრინციპიალურ კითხვებში. ახლა საჭიროა ფორმები, რომლებმაც უნდა გამოხატონ ეგ თანხმობა. ჩვენი წინადადება აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას და ამიტომ იგი მიღებულ უნდა იქნას". გამგეობის წევრები მედგრათ შეებრძოლენ ამ წინადადებას და საბუთათ ის მოჰყავდათ, რომ პარტიის და პროფესიონალთა ერთმანეთში გათქვეფა სახიფათოა. მასთან არსებული კანონდება კოალიციის შესახებ ხელს არ უწყობს პროფესიონალთა პოლიტიკურათ მოქმედებას. გამგეობის აზრით, პარტიასა და პროფესიონალთა ცენტრებ შორის შეთანხმებულ მოქმედების დასამყარებლათ თავდაპირველი მტკიცე სურვილია და არა იურიდიული ფორმები, რომელნიც მხოლოდ პოლიციის ხელში ათას გვარ შევიწროებას შეხვდებიან. პარტეიტაგი დაეთანხმა გამგეობას და ლიბკნეხტის და ამხ. წინადადება უარყო.

შემდეგ პარტეიტაგმა მიიღო იენის „... მაისო" რეზოლიუცია უცვლელათ და ... უდგა ახალ მუხლის განხილვას—„ხალხის აღზრდა და სოციალდემოკრატია". ეს ... თხვა პირველათ ირჩევა გერმანიის ს. ... პარტეიტაგზე. რეფერენტებათ იყვენ დანიშნული ჰ. შულცი და კლარა ცეტკინი. პირველმა დაასაბუთა საზოგადოთ აღზრდის საქმე და სოციალდემოკრატიის მოთხოვნები ამ სფერაში. მეორემ—სოციალდემოკრატიის პედაგოგიურ პრინციპების პრაქტიკულათ განხორციელება პროლეტარის ოჯახში და მის გარე.

რეფერატებს წინ მიუძღოდა მოკლე ... ზიუმე რეზოლიუციის სახით. სამწუხარო...

*) იხ. „ტალღა", № 18.

*) საჭიროა აღვნიშნოთ, რომ რ. ლუქსემბურგის სიტყვები უმთავრესათ პროფესიონალთა მოთავეებისკენ იყო მიმართული. ა. ჩ.

✦ თფილისის **ქალაქის სტიპენდია** მისცეს—1-ლ საქალებო გიმნაზიაში—ან. სარქისოვას და მეორე საქალებო გიმნაზიაში—თამარ ფეიქრიშვილს.

✦ **კავკასიელები არხანგელსკში.** გაზეთ „რუს. ვედ.“-ში შემდეგს ვკითხულობთ: ყინვების დადგომამ საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო ორასი **კავკასიიდან გადმოსახლებულთა მდგომარეობა**. იმათ დაატოვებინეს განებივრებულ საქართველოს მდიდარი და თბილი ბუნება და გადმოსტყორცნეს ჩრდილო რუსეთში, თავიანთ ნაციონალურ თხელ ტანთსაცმლის ამარა. რუსეთის მძვინვარი ბუნება სულ მთლათ არღვევს და შლის მათ აგებულებას, რის გამოც ბევრი მათგანი სულ განუწყვეტლივ ავათმყოფობს; თუ კიდევ დიდხანს დარჩენ აქ, უთუოთ ავათმყოფობა კლექათ გადაექცევათ. საჭიროა მათი სამხრეთ გუბერნიაში გადაყვანა.

✦ ქალაქის **საბჭოს სხდომას** ორშაბათს, 6 ნოემბერს, სულ 27 კაცი დაესწრო. მიუხედავათ ამისა სხდომა მაინც შედგა. დამსწრე ხმოსნებში ბევრი აცხადებდა უკმაყოფილებას იმათ წინააღმდეგ, რომელნიც საბჭოს კრებებს აღარ ესწრებიან. საბჭომ სხვათა შორის დაადგინა საქალაქო დებულებათა თანახმათ პასუხისგებაში მისცენ ისინი. ამავე სხდომაზე საბჭომ განიხილა ვანქის ქუჩაზე მარტირუზოვის სახლში (სადაც „გამომცემელი ამხანაგობის“ კანტორაა მოთავსებული) წყლისაყვან მილის დახურვის შესახებ საჩივარი. მილის დახურვა საბჭომ კანონიერათ იცნო, რადგან სახლის პატრონი ფულს არ იხდიდა თურმე. შემდეგ საბჭომ განიხილა პროექტი სოლოლაკისკენ ტრამვაის შტოს გაყვანისა. მოიწონეს და მიიღეს შემდეგი პროექტი: ერევნის მოედნიდან ორი ლიანდაგი წავა ველიამინოვის ქუჩით ლერმონტოვის ქუჩის კუთხემდე, იქიდან რტიშევის ქუჩამდე, რტიშევის ქუჩიდან ვოზნესენსკის ქუჩის კუთხემდე, შემდეგ ვოზნესენსკი ქუჩით „ვიადუკის“ გასავალამდე, სადაც პროექტით უკანასკნელი სადგური უნდა იქნეს. დასასრულ, საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება, რომლითაც ეს უკანასკნელი თანხმდება 1000 მანეთი დახმარება მისცეს სამხატვრო სასწავლებლის გამგეობას იმ პირობით კი, თუ ხსენებულ სასწავლებელს გადააკეთებენ და მასთან თუ სწავლა მომავალ 1907 წლის 1-ლ იანვრიდან დაიწყება.

✦ 4 ნოემბერს ავჭალის ქუჩაზე 6-მა შეიარაღებულმა ლეკმა გაძარცვა პოლიციელი აჯი-მამედ-ფატალი-ოღლი, წაართვეს 1100 მან. ამ საქმის გამო **დააპატიმრეს** ომარ ისმაილოვი, მამედ ალიევი, ჯევატხან მაგომაევი, აბდულ დატიფოვი და მაჰომედ ალი-ოღლი.

✦ 13 ნოემბრისთვის თფილისის **სამოსამართლო პალატაში** გასარჩევათ დანიშნულია საქმე გრიგოლ ნათლიშვილისა, რომელსაც ნაძალადევში ეკლესიის ეზოში ყუმბარების შენახვას აბრალებენ. ხსენებულ ეკლესიის ეზოში ყუმბარები გასულ წლის დეკემბერში ნახეს, როდესაც ნაძალადევში 9 მუშა-მილიციონერები მოკლეს. სასამართლოში ამავე დღეს გასარჩევათ დანიშნულია საქმე ცოლ-ქმარ ანდრონიკე და ვერა ჯაყელისა, რომელთაც აგრეთვე ასაფეთქებელ ნივთიერებათა შენახვას აბრალებენ.

✦ ელექტრონის ტრამვაის დირექტორის ფრიდმანის პროექტით ახლო მომავალში თფილისში უნდა გაიხსნას **უსახელო საზოგადოების სახელოსნო** ელექტრონის ტრამვაის ვაგონებისა და სხვა მოწყობილებათა გასაკეთებლათ.

✦ კვირას, 5 ნოემბერს, მილიუტინის ქუჩაზე, ვიღაც უცნობმა რევოლვერის ორი ტყვიით მძიმეთ დასჭრა მომრიგებელ მოსამართლის მე-3 განყოფილებაში მოსამსახურე და ადგილობრივ პატრიოტულ საზოგადოების წევრი **პავლე კოლესნიკოვი**, რომელიც შემდეგ მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ აქედან სადღაც მიიმალა.

✦ ამავე დღეს დიდუბეში მძიმეთ დასჭრეს რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოების მუშა ალექსანდრე **ბრიხნიჩევი**, რომელიც რკინის გზის საავათმყოფოში გაგზავნეს.

✦ სიღნაღის მაზრის უფროსი **ელ. გუგუშვილი** გორის მაზრის უფროსათ გადაუყვანიათ პოდპ. ნ. კ. რეზანოვის მაგიერათ, რომელიც სამსახურს თავს ანებებს.

✦ 10 ნოემბრისთვის თფილისის **სამხედრო-საოლქო სასამართლოში** განსახილველათ დანიშნულია საქმე ჯარის კაცის ივანე კოსიაკისა, რომელსაც სალდათებში არალეგალურ ლიტერატურის გავრცელება ბრალდება. საქმე გარეშეთა დაუსწრებლათ გაირჩევა. ბრალდებულს დაიცავს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ი. კ. მაჭავარიანი.

✦ **თფილისის მაზრის უფროსმა** წინადადება მისცა მაზრის ყველა ნაწილთა ბოქაულებს შეამოწმონ სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიმღებ პირთა სია, აგრეთვე მოახდინონ არჩევნები, რომ გლეხებმა წარმომადგენლები აირჩიონ 10 კომლიდან თითო კაცი.

✦ 6 ნოემბერს **მეტეხის ციხიდან** გაანთავისუფლეს როტინოვის ნოქარი პ. იაროლოვი, რომელიც ამას წინეთ დააპატიმრეს.

✦ გუშინ 7 ნოემბერს ბაზრის ქუჩაზე ვანქის მამულში მეპადლე თათარ ვანუას ვიღაცა ხალგაზდამ რევოლვერი დაახალა, მაგრამ ააცდინა. მსროლელი დაიჭირეს და წაიყვანეს მესამე საპოლიციო ნაწილში. ვინაობა ჯერ არ იციან.

✦ თფილისში იტყობინებიან, რომ ამ დღეებში სურამელის მაზრის ს. თუთის მცხოვრებნი თავს დასხმიან და საქონლები წაურთმევიათ ფოკიზმანის ნაწილის სოფ. ნოვო-ნიკოლაევსკის მცხოვრებთ. საქმეში საერთო დარაჯები ჩარეულან, რომელთაც თუთელებისათვის საქონლის უკან დაბრუნება მოუთხოვიათ. ამ უკანასკნელთ წინააღმდეგობა გაუწევიათ. ამტეხდარა სროლა, რომლის დროს მძიმეთ დაუჭრიათ ივან ნოვიკოვი და ალი-სახრან-ოღლი.

✦ 6 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე ვაგზლის ქუჩაზე 2 უცნობი თავს დაესხა ელექტრონის ტრამვაის ვაგონს და კონდუქტორ ალ. ოშლაშვილს დღიური შემოსავლიდან 11 მანეთი წაართვეს. ამავე დღეს საღამოს 11 საათზე იმავ ქუჩაზე თავს დაესხენ კონდუქტორ ფილიშვილს, რომელსაც უცნობებმა 8 მანეთი წაართვეს და ბორჯომის ქუჩით მიიმალენ.

6 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ელისაბედის ქუჩაზე იპოვეს რევოლვერის ტყვიით მოკლული უცნობი, რომლის ვინაობა ჯერ ვერ გამოურკვევიათ. უცნობი მიხეილის საავათმყოფოსთან არსებულ ანატომიურ თეატრში გაგზავნეს.

## პარტიის ცხოვრებიდან

—

უკრაინის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის წინადადებას იძლევა მიიღონ აქტიური მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში. შეთანხმების და ბლოკის შესახებ. ც. კ. იმ აზრს გამოსთქვამს, რომ შეთანხმება შეიძლება დემოკრატიულ და რევოლიუციონურ პარტიებთან.

—

ოქტომბრის პირველ დღეებში ქალ. სმოლენსკში მოხდა სოც.-დემ. ორგანიზაციების საოლქო კონფერენცია. კონფერენციამ დაადგინა, მიიღონ ენერგიული მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში.

კონფერენციამ აგრეთვე დაგმო ყოველნაირი ექსპროპრიაცია და მკვლელობა.

—

ლოძში (პოლონეთი) მოხდა კონფერენცია „პოლონეთის და ლიტვის სოც.-დემოკრატიის დელეგატებისა“ „ბუნდ“-ის წარმომადგენლებთან ერთათ. შეიმუშავეს პირობები საერთო მოქმედებისა. ორივე პარტიამ გადასწყვიტა მხარი დაუჭირონ საერთო კანდიდატებს. დაადგინეს აგრეთვე, რომ თუ პოლონეთის სოციალისტური პარტია (პ. პ. ს.) არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, შეკრან მათთან სოციალისტური ბლოკი.

—

პეტერბურგში გამოვიდა №№ 6, 7, 8 პლეხანოვის „სოც.-დემოკრატის დღიურისა“, „წერილები ტაქტიკაზე და უტაქტიკობაზე“, დამატებით სტატიისა: „სადაა მარჯვენა მხარე და სადაა ორტოდოქსია“.

# პროვინცია.

—

**სოფ. გარდატენი** (გორის მაზრა). მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, რომ ამ ჟამათ გორის მაზრაში მოქმედებს ერთი წოდებული მომრიგებელი კომისია, რომელიც თავად-აზნაურობას ძალით ურიგებს გლეხებისაგან ღალებს, საბადასეს, ტყის შეღავათსა და სხ. ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს ბრწყინვალე წოდება წელში გაშალა და ზოგიერთმა ვაჟბატონმა კიდეც მიმართეს ამ კომისიას. ამ ერთი კვირის წინათ სოფ. გარდატენიდგან ამ კომისიაში კომლზე კაცი იყო დაბარებული; მისვლის უმალვე კომისიის თავჯდომარემ გამოუცხადა მათ, თავადი რეზო ერისთავი გიჩივით თქვენ, რომ მას არ აძლევთ ძველ წესზე ღალას მესამედს და ვენახებიდგან კულუხებსაო. გიცხადებთ მე, როგორათაც მთავრობის წარმომადგენელი და კომისიის თავჯდომარე, თუ თქვენ სამი დღის განმავლობაში არ ჩაგიბარებიათ სრულად მესამედი და კულუხებისაც კომლზე რვა მანეთი, გამოგზავნით ყაზახებს და გადახდევინების გარდა მთელ სოფელს ზარბაზნებით გავანადგურებთო. ამ დროს თვით რეზო ერისთავი კომისიის წევრებს უკან ამოჭყიტებოდა და თანაც თავს იმალავდა, რომ გლეხებს არ დაენახვებოდა და მერე თავის გასამართლებელი საბუთი ჰქონოდა: მე არ მიჩივლია კომისიაში, თითონ ჩემს დაუკითხავათ გახდევინებენო. ეს ვაჟბატონი ამით არ დაკმაყოფილდა და პოლიციას შეატყობინა: ჩემ გლეხებთან ესა და ეს პროპაგანდისტები მოდიან და ეუბნებიან თავადებს არა მისცეთ-რაო. ასე გასინჯეთ, განსაკუთრებული აგენტებიც კი ჰყავს დაყენებული, რომ თუ ვინიცობაა სოფელში პროპაგანდისტი შევიდა, მაშინვე პოლიციას აცნობონ. მაგალითად, წარსულ სამშაბათს, 31-ს ოქტომბერს, როდესაც ს. ამ—შვილი მივიდა გარდატენში გლეხებთან სალაპარაკოთ, არ გასულა ერთი საათი, რომ მოცვივდნენ სტრაჟნიკები და დაუწყეს თხოულობდნენ, უნდა გვიჩვენოთ, სად დიმალა ს. ამ—შვილიო. აქედან სოფ. ხიდისთავს ეწვიენ, რადგანაც იქაც გეგულებოდათ რამდენიმე არაკეთილსაიმედო პირი. ღამე ისე არ გაივლის ხიდისთავს არ ესტუმრონ ეს დაუპატიჟებელი სტუმრები. ამ ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ გაჩხრიკეს ივანე ამბრიაშვილის სახლი იმ აზრით, რომ დაეჭირათ მისი შვილი, რომელიც წელიწადზე მეტი დედ-მამასაც არ იცის, სად იმყოფება. ამ გარემოებამ აქაური ხულიგანები ცოტა არ იყოს გაათამამა; მათმა თავხედობამ იქამდის მიაღწია, რომ ზოგიერთი იქაური გაჭრები, როგორც მაგალითად, ძმანი გ. დას. ზოგ არაკეთილსაიმედო პირებს დუქანში მუშტრათაც აღარ უშვებენ, და ასე ეუბნებიან: „მომშორდით ძმაო, თქვენი მუშტრობა არ მინდა, თქვენ პოლიცია გდევნით და რომ გამიგონ თქვენზე საქონელსა ვყიდი, მეც დამსჯიანო. ...ტებდით თქვენსს, მაგრამ არ დაგვავიწყდეთ ის ...ნაო, რომ მალე მოვა ის დრო, როდესაც ხალხი ანგარიშს მოგთხოვს თქვენს საქციელზე.

**პარი.**

## მუშათა შორის.

—

**ადელხანოვის ფაბრიკაში მომუშავე მეჩექმეების მოთხოვნილება** (ევროპიულ ფეხსაცმელებზე მომუშავეების). 1) ფრანგულის დაქის ჩექმები 5 მ. 50 კ.; 2) ჩექმები ამერიკული დაქისა 5 მ. 35 კ.; 3) შევრონის ჩექმები (რანტი) 5 მ.; 4) იუხტის ჩექმა (შპილკაზე) 4 მ.; 5) მთელ პირიანი „პოლსაპოშკი“ რანტით 3 მ.; 6) პოლსაპოშკი ფილშავი რანტით 2 მ. 60 კ.; 7) შპილკიანი პოლსაპოშკი 2 მ.; 8) ქალის პოლსაპოშკი მაღალი ქუსლით, შპილკით 1 მ. 80 კ.; 9) ქალის პოლსაპოშკი დაბალი ქუსლით 1 მ. 40 კ.; 10) ბავშვების პოლსაპოშკი შპილკით „ზუგოვეცზე“ 1 მ.; 11) ბავშვების მთელი პოლსაპოშკი №№ 20—24—1 მ. 20 კ.; 12) ბავშვების ჩექმები შპილკით 1 მ. 50 კ.; 13) ქალის ბაშმაკი გამოკერებული მაღალი ქუსლით 2 მ.; 14) ტუფლი გამოკერებული 1 მ. 20 კ.; 15) სადამური ტუფლები 1 მ. 30 კ.; 16) ბავშვების გამოკერებული ბაშმაკები № 25—29 70 კ.; 17) ბავშვების ბაშმაკები № 21—55 კ.; 18) ისევ ბავშვების ბაშმაკები № 22 და 24—65 კ. 19) ბავშვების ბაშმაკები № 30 და 33—95 კ.; 20) თითო დაზგაზე ორ-ორი „პლომკა“. 21) მოგვცეს ჭამაგირი და შავი სანთელი; 22) ქარხანა იკეტებოდეს ან მუშაობის დაწყებამდე ან მუშაობის შემდეგ; 23) ზრდილობიანი მოპყრობა. 24) ავათმყოფობის დროს წამლობა და ექიმი ფაბრიკანტის ხარჯზე და ავათ მყოფს მიეცეს ნახევარი დღის ქირა; 25) ზამთრობით ქარხანა უნდა თბებოდეს; 26) გაფიცვის დროს სრული ქირა მიეცეს ყველას; 27) მუშების მიღება და დათხოვნა მუშების საქმე იყოს. 28) თუ ფაბრიკას ფაბრიკანტი დახურავს, მუშებს მიეცეს ერთი წლის ქირა. 29) გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვნილი.

**ბიურო პროფეს. კავშირისა.**

—

**ადელხანოვის ქარხნის** 2-ე ნაბდის ფეხსაცმელების საკეთებელ განყოფილებებში შრომას განაწილების შესახებ მუშების მიერ არჩეული **კომისიის რეზოლიუცია:** 1) ერთი ხარაზი და ორი მეჩექმე შეადგენენ პარტიას; ორ პარტიას ჰყავს ერთი „მეკალაპოტე“; 2) თითეული ხარაზი დებულობს ყოველ დღე არა უმეტეს 12 წ. წაღებისა, მეჩექმე 6 წ. 3) ირჩევა კომისია 3 კაცისაგან მორიგ-რიგეთ.

შენიშვნები: 1) ის ხარაზი, მეჩექმე და მეკალაპოტე, რომელნიც თავიანთ ხვედრ საქმის შესრულების დროს განმავლობაში ვერ მოასწრებენ, ვალდებულნი არიან ზედმეტი საქმე გადასცენ კომისიას; 2) კომისია ამ ზედმეტ საქმეს ...

---

კლარა ცეტკინამ ვერ დაათავა თავის შესანიშნავი რეფერატი, რადგან ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ ის ჯერ კიდევ ძლიერ სუსტათ არის. აქვე უნდა განვაცხადო, რომ მე გავაცნობ მკითხველს მხოლოდ ორიოდე აზრს ამ მდიდარ შინაარსიან რეფერატებიდან. ისინი საუკეთესო შრომას წარმოადგენენ სოციალდემოკრატიულ ლიტერატურაში და ამიტომ ფრიად სასურველი იქნებოდა მათი სავსებით გადათარგმნა ქართულ ენაზე. პარტეიტაგმა ერთხმათ დაადგინა მათი ცალკე ბროშიურათ გამოცემა,—მანამ ჩვენც დავიცადოთ.

შულცი აღნიშნავს, რომ კაცობრიობის პირვანდელ ეპოქაში გონებით შრომა არ იყო განცალკევებული ხელით შრომისაგან, ან სხვა სიტყვით, პრაქტიკა და თეორია ერთ მთელს და განუყოფელს წარმოადგენდენ ადამიანის არსებაში. საწარმოო ძალთა განვითარებამ პირველათ შესაძლებლათ გახადა ნაკლებ შრომის დახარჯვა და მეტი შედეგის მიღება. ეგ მოვლენა დაედო საფუძვლათ მონობას, რომლის დასაწყისშივე გონების და ხელის შრომა ერთი მეორეს შორდებიან და იქიდან დაწყებული ვიდრე დღემდე ეგ „შრომის განაწილება“ უცვლელათ სუფევს. მყვლეფელი კლასი უმთავრესათ გონებით მუშაობს, გაყვლეფილი—უმთავრესათ ხელით. ყველასათვის ცხადია, რომ ეგ მოვლენა არა-ბუნებრივია და ამიტომ მავნებელი. მეორე მხრით, ეგ რომ ასე არ ყოფილიყო, ერთი კლასის გაბატონება მეორეზე შეუძლებელი იქნებოდა. საჭირო იყო, რომ გაყვლეფილი კლასი გონებრივ ბნელეთით ყოფილიყო შეპყრობილი, რომ მით უფრო თავხედათ შესძლებოდა მყვლეფელ კლასს მის ზურგზე ნავარდი. ამიტომ უკანასკნელი პრინციპიალურათ წინააღმდეგია პირველის გონებრივათ დაწინაურების. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის, ახალი საწარმოო ძალები თხოულობენ დახელოვნებულ მუშას, ამისთვის კი საჭიროა მისი ცოტათ თუ ბევრათ გონებრივი გაწრთვნა. გაბატონებული კლასები აწვდიან მას წარმოებისთვის აუცილებელ ცოდნას, მაგრამ სამაგიეროთ ისინი ულაყებენ მას ტვინს ათასგვარ ცრუმორწმუნეობით. სოციალდემოკრატიის მიზანია ეგ უსამართლობა მოსპოს. მან უნდა ბუნების კანონი ისევ აღადგინოს, ე. ი. პრაქტიკა და თეორია ისევ შეაერთოს ერთ ადამიანში. ამისდა მიხედვით, მისი საპედაგოგო მისწრაფება გამოიხატება ბალღის ფიზიკურათ და გონებრივათ ჰარმონიულ აღზრდაში. ამ მიზნის სავსებით მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ ზოგიერთი მუხლების განხორციელება დღესაც შესაძლებელია“..

ეს იყო შულცის რეფერატის დედა-აზრი. მან ჩინებულათ დაახასიათა აღზრდის საქმე ძველ დროში, საშუალო საუკუნოებში და ჩვენ დროში; მან გაარჩია საუკეთესო ... პედაგოგების თეორიები და მათ შეუფარდა მარქს-ენგელსის აზრები.

ცეტკინმა განაცხადა, რომ გერმანიის სოციალდემოკრატიას წამოეზარდა ახალთაობა, რომელიც მოწადინებულია თავის ნორჩ შთამომავლობას ჩაუნერგოს გულში ჰუმანიტების და სამართლიანობის იდეები. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ აქამომდე ასე ნაკლებ ფიქრობდა პარტია პროლეტარების აღზრდაზე. იყო დრო, როცა სოციალდემოკრატია ძლიერ სუსტი იყო და მთელ თავის ძალღონეს დიდების გაცნობიერებას ანდომებდა. ახლა კი სულ სხვაა. გერმანიის სოციალდემოკრატიის ნივთიერი, გონებრივი და ზნეობრივი ძალა ისე დიდია, რომ მას შეუძლია პოზიტიურათ იმოქმედოს აღზრდის სფეროში. პროლეტარის შეხედულება ოჯახზე ძირითადათ განსხვავდება ბურჟუაზიულ პარტიების შეხედულებისაგან. ეს გამომდინარეობს არსებულ ეკონომიურ-სოციალურ წყობილებისაგან. ქალი შორდება კერას და ბაზარში გამოაქვს თავის სამუშაო ძალა გასაყიდათ. ის ხდება ნივთიერათ დამოუკიდებელი მამა-კაცისაგან, ამას კი შედეგათ ის მოსდევს, რომ მათ შორის თანდათან ფეხს იკიდებს პიროვნული თანასწორი დამოკიდებულება. ძალას კარგავს ძველი ცრუმორწმუნოება, ვითომ მამაკაცის შრომა ქალის შრომაზე მაღლა იდგეს. ძალა ეკარგება აგრეთვე მავნე ჩვეულებას, ვითომ ბალღის აღზრდა მარტო ქალის საქმე იყოს. მამა იმდენათვე აუცილებელია ბალღის აღსაზრდელათ, რამდენათაც დედა. სოციალდემოკრატია სულაც არაა მოწადინებული, როგორც მტრები ლაყბობენ, რომ სრულიად გაქრეს ყოველგვარი განსხვავება ქალის და მამა-კაცის სამუშაოთა შორის. მას სურს მხოლოდ სოციალურ უკუღმართობისგან გამოწვეული განსხვავება მოსპოს, ბუნებრივი კი ძალაში დატოვოს. სოციალდემოკრატია სრულიად არ სპობს ოჯახს. უკანასკნელი ფრიად საჭიროა აღზრდის საქმეში. მან უნდა აღზარდოს მტკიცე ხასიათის მქონე და ჰუმანიურ იდეებით გამსჭვალული პიროვნება. ამგვარათ, სახელმწიფოსა და ოჯახს შუა ხდება შრომის განაწილება: პირველი ზრდის სკოლაში მოქალაქეს, მეორე კი პიროვნებას...

წერილი გამიგრძელდა და ამიტომ ვწყვეტ. ცეტკინი შესანიშნავი ორატორია. მისი „გაფთრებულ“ (მუშები toll-ს ეძახიან) სიტყვის გადაცემა არც ისე ადვილია.

პარტეიტაგმა დროს უქონლობისა გამო დისკუსია არ იქონია ამ მუხლზე. რეფერენტების თეზები მან კომისიას გადასცა მათი უფრო ვრცლათ შესამუშავებლათ და მომავალ პარტეიტაგზე წარსადგენათ. ნახევრათ იგივე ბედი ეწვია შემდეგ მუხლს: „სისხლის სამართლის უფლება, პროცესი და განაჩენის სისრულეში მოყვანა.“ ჰააზეს შესანიშნავი რეფერატი ამ საგნის შესახებ დიდის ინტერესით მოისმინა პარტეიტაგმა, მაგრამ დისკუსია ვერ მოხერხდა იმავე მიზეზით. მიუხედავათ ამისა, ჰააზეს თეზები ერთხმათ იქნა მიღებული, რადგან ისინი საკმაოთ იყვენ გარჩეული პრესაში და მასთან რეიხსტაგს ფრაქციას დირექტივები ეძირვებოდა მომავალ სესიაზე.

დასასრულ საჭიროთ ვრაცხ აღვნიშნო, რომ საგაისო პარტეიტაგი დაინიშნა რკინის პროვინციაში ქ. ესენში. ერთ-ერთ ჩემ წერილში მე გავაცანი მკითხველს ეგ „მუშების ქალაქი“, სადაც ამას წინეთ აქაურ უძლიერეს პარტიას—ცენტრს ქონდა თავის „შავი პარადი“. ესენი ჯერ კიდევ კაპლანების სამფლობელოს წარმოადგენს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ იგი ჩქარა სოციალდემოკრატიის კერძი გახდება. პარტეიტაგი კი საუკეთესო სააგიტაციო იარაღია. მასთან სოციალდემოკრატები იქ „პარადს“ როდი გააწყობენ. ისინი ჩვეულებრივ საქმიანობას გამოიჩენენ და ერთი კვირის განმავლობაში ბევრ მუშას აღუგზნებენ გულში სოციალისტურ იდეალებს.

ნაშუადღევის სამ ნახევარ საათზე სიაში აღნიშნული კითხვები დაბოლოვებულ იქნენ. პარტეიტაგმა აღფრთოვანებით მიიღო ბებელის რეზოლიუცია, რომელიც გერმანიის პროლეტარიატის უღრმეს სიმპატიას უძღვნის რუსეთის თავდადებულ მებრძოლთ და აღუთქვამს მათ მორალურ და ნივთიერ დახმარებას; ამის გარდა იგი გამოთქვამს სოციალდემოკრატიის მტკიცე გადაწყვეტილებას, მთელი თავის ძალ-ღონით შეებრძოლოს გერმანიის რუსეთის საქმეებში გარევას, აგრეთვე რუსეთის ბიურო-კამარილას სესხით დახმარებას რომელიმე გარეშე სახელმწიფოსაგან. ზინგერმა თავის უკანასკნელ სიტყვაში ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ მანჰეიმის პარტეიტაგი გერმანიის ს.-დ. ისტორიაში უშესანიშნავესი ქვაკუთხედია, რომელზედაც უნდა აშენდეს პარტია და პროფესიონალთა შორის მტკიცე და შეურყეველი კავშირი პროლეტარიატის საკეთილდღეოთ. „გაუმარჯოს გერმანიას, გაუმარჯოს ინტერნაციონალურ სოციალდემოკრატიას!“—დაათავა ზინგერმა თავის სიტყვა და მას შემდეგ ფეხზე დგომით განიმეორა მთელმა დარბაზმა. ამას მოყვა მუშების მარსელიეზა. დელეგატები გრძნობიერათ ესალმებოდენ ერთმანეთს და გაიძახოდენ „ნახვამდის ესენამდე!“, „ისევ ბრძოლა, ისევ გამარჯვება!“.

პარტეიტაგი დასრულდა გერმანიის ახალგაზდა მუშების კავშირის გენერალურ კრებით, კვირას 30/17 ენკენისთვეს. ახალგაზდათა კავშირი სულ რამდენიმე თვეა, რაც დაარსდა. მიუხედავათ ამისა, მას დიდი წარმატება ეტყობა. მას აქვს საკუთარი გაზეთი „ახალგაზდა გვარდია“, რომლის ხელის მომწერნი 4.000 აღემატებიან. ამ კავშირის უმთავრესი სამოქმედო ასპარეზი სამხრეთ გერმანიაა. ჩრდილოეთ გერმანიაში არასრულწლოვანთ არა აქვთ უფლება პოლიტიკურ ფერეინებში წევრობისა. გენერალურმა კრებამ ჩინებულათ ჩაიარა. ახალგაზდა თავმჯდომარის ვაგნერის ლამაზი სიტყვის შემდეგ წაიკითხეს რეფერატები ფრანკმა (ფრანკი ბადენის ლანდტაგის წევრია და გარეგნობით ტყუპ ძმასავით გავს ლასალს. ამიტომ მას მუშები „ჩვენ ლასალს“ეძახიან ხოლმე. იგი ახალგაზდა უნივერსანტია და მჭერმეტყველი), კაცენშტეინმა და ლიბკნეხტმა „გერმანიის პარტეიტაგზე და ახალგაზდათა მოძრაობაზე“, „ალკოჰოლზე და ახალგაზდობაზე“ და „ახალგაზდობა და მილიტარიზმზე“. მოკლე დისკუსიის შემდეგ შესაფერი რეზოლიუციები იქნენ მიღებული.

ეჭვს გარეშეა, ახალგაზდა მუშათა კავშირი იმავე წარმატების გზას დაადგება, როგორც ქალების მოძრაობა. ამის თავდებები მისი ჩინებული დასაწყისია.

**ა. ჩხენკელი.**

მეს აძლევს გასაკუთრებლათ იმ ხელოსნებს, რომელთაც შეუძლიათ მოსწრება; 3) იმ ხელოსნების დღიურ საქმეს, რომელნიც სადილობამდის არ მოვლენ, კომისია აძლევს ნასადილევს სხვა ხელოსნებს; 4) კომისია იღებს ზედმეტი საქმის ფულს და აძლევს მათ, ვინც საქმე გააკეთა.

## ამხანაგ მუშებს.

გაზეთ „გრიგალ"-ში მოთავსებული იყო მუშების წერილი, რომელიც იწვევდა მუშებს გამოსთქვათ თქვენი აზრი დღევანდელ მომენტ-ს შესახებო. ამ როგორ კითხვას, მუშის მხრივ არავინ გასცა პასუხი. ჯერ სდუმს ყველა და თითქოს არც კი სმენია, რაშია საქმე. მართლაც, გასაკვირველია, რომ ჩვენ, მუშები, არ ვაქცევთ ყურადღებას საკითხებს, რომელიც ჩვენთვის დიდით საინტერესოა.

დღევანდელ ჩვენს დღიურ კითხვებზე, რომელიც ცხოვრებამ დაუყენა პარტიას ე. ი. ს. დ., ამაზე საჭიროა ვიმსჯელოთ ჩვენ თვითონ მუშებმა და გავსცეთ ყველას შესაფერი პასუხი. დიახ, დღეს ყველაზე როთული კითხვა პარტიაში არსებული უთანხმოებაა. აქ თავის თავათ იბადება კითხვა, თუ რამ გამოიწვია პარტიაში უმოქმედობა? იმან, რომ მთავრობა თავის უკანასკნელ ძალას ხმარობს? ეს, ვფიქრობთ, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამას ისიც დავუმატოთ, რომ დღეს ჩვენ, ს. დ.-ს ყველგან შემოგვეპარენ პარტიაში არა სასურველი ელემენტები, რომლებიც ასე თუ ისე, ხელს უშლიან პარტიის მოძრაობას და არ კეთდება ის, რაც სასურველია ჩვენთვის. მართლაც გადავავლოთ თვალი დღევანდელ ჩვენს მოქმედებას და ნათლათ დავინახავთ, თუ რამ გამოიწვია პარტიაში ასეთი უმოქმედობა, რომელიც არსებობს დღეს და პარტიის წინსვლას ხელს უშლის. პირველი მიზეზი პარტიის უმოქმედობისა ის არის, რომ პარტიის ზოგი წევრნი, რომლებიც ასე თუ ისე პარტიის წევრებათ ითვლებიან, არ ასრულებენ თავის პარტიულ მოვალეობას. მათთვის საქმე რაა მხოლოდ წევრათ ითვლებოდენ და ის კი ავიწყდებათ, რომ თითეული წევრი, მუშაა იგი თუ სხვა, მოვალეა, როგორც ზნეობრივათ, ისე გონებრივათ, მტკიცეთ შეასრულოს მოვალეობა, რომელიც მას პარტიამ დააკისრა. ამით პარტია დადგება უფრო მაგარ ნიადაგზე და უფრო მეტის სისწრაფით წავა წინ. აქაც ერთი კითხვა იბადება. მაშ თუ ასეა და პარტია არ არის კარგ ნიადაგზე დაყრდნობილი, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ყოველთვის იგი უნიადაგობისაგან? ეს კითხვა ქვემოთ გავარჩიოთ. პარტიის უმოქმედობის გამო, ამბობენ ზოგი ჩვენი ამხანაგები, პარტიაში შემოვიდენ ზოგი არა ს. დ., არამედ დემოკრატები, რომლებიც ვერ უწევენ პარტიას სამსახურს და თავისი ბურჟუაზიული ტაქტიკით მოქმედობენო. დიახ, მე მრწამს, რომ ეს სწორეთ ასეა და ამაზე ლაპარაკიც მეტია. ასეთი შეცდომა ჩვენ პირველათ არ უნდა დაგვეშვა და დღეს, ბევრიც რომ ვიმეცადინოთ, პარტიის გაწმენდა არა სასურველ ელემენტებისაგან ერთბაშათ ყოვლად შეუძლებელია. პარტია უნდა გაიწმინდოს თანდათანობით და ეს თანდათანობითი გაწმენდა პარტიას გამოიყვანს სიძნელისაგან, დააჩქარებს მის წინსვლას და დააყენებს უფრო კარგ ნიადაგზე. ამ მხრით რომ დაუკვირდეთ დღევანდელ ჩვენი პარტიის უმოქმედობას, ნათლათ დავინახავთ, რომ დემოკრატები, რომლებიც ქონების მხრივ მაღლა დგანან ჩვენზე, რა თქმა უნდა, არ შეეწყობიან თავს პარტიაში მუშობით. ეს ჩვენ აქამდისაც კარგათ ვიცოდით. მაგრამ საუბედუროთ ჩვენდა, ჩვენ მუშათა შორის არიან ისეთები, რომლებსაც თავი ნამდვილ სოციალდემოკრატებათ მოაქვთ, მაგრამ არც ამათ ინტერესებს დაიცვან პარტიის ინტერესები, არც ესენი ასრულებენ თავის მოვალეობას. მაგრამ როგორ გგონიათ, ესენი რომ გავდევნოთ პარტიიდან, ვითომ ამით გაიწმინდება პარტია? არა და ათასჯერ არა. ეს მხოლოდ პირიქით ხელს შეგვიშლის. თუ კი ასეა, ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა თხოულობს, ისინი კი არ უნდა გავდევნოთ პარტიიდან, არამედ ვიმეცადინოთ, რომ შეგნების აზაზე დავაყენოთ და ამით გავუწიოთ ჩვენ პარტიას სამსახური, რითაც მეტს წევრს შევიძენთ.

იმედია ჩვენი მუშა ამხანაგები უფრო კარგათ გაარჩევენ და თავის აზრს გამოსთქვამენ ამ კითხვებზე.

მუშა ი. გადიძელი

## რუსეთის ამბები

**სახელმწიფო შემოსავალი გასავალს მიღმა ფარავს.** წინა სახელმწიფო დღევანდელ ფინანსიურ მდგომარეობას ნათლათ ხატავს მინისტრ კოკოვცევის მოხსენება სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. მინისტრის სიტყვით წარსულ წლის ხარჯთ-აღრიცხვას 481 მილიონი დეფიციტი გამოუწვევია. „თუ ქვეყნის ასეთი მდგომარეობა კიდევ გასტანს, ეჭვი არ არის, მიმდინარე წლის დეფიციტი დიდათ გადააჭარბებს წარსული წლისას", ამბობს მინისტრი, მაგრამ რაოდენობის წარმოთქმას კი ვერ ბედავს, თუმცა კარგახანია გამოანგარიშებული ქონდა:

**გლეხების მოძრაობა.** კამიშოვის სამაზრის სოფლისოში მისულან ბრძანებით ისპრავნიკი და მრავალი მოხელეები იმ მიზნით, რომ გამოეძალათ გლეხებისაგან კერძო მემამულეთა ტყის გაჩეხის საქმე. მთავრობის წარმომადგენლები თხოულობდენ აგრეთვე აგიტატორების გაცემასაც. ხელათ 4—5 სოფლიდან მოიყარეს თავი გლეხებმა, რიცხვით ხუთასამდე და მრისხანეთ გაექცნენ სამმართველოსკენ დატუსაღებული პირების—„მოლაპარაკეების"—განთავისუფლებლათ. მოხელეებს შეშინდათ და კუდ ამოძუებული გაიპარნენ სამმართველოდან, რის გამოც თავისიანები თავისთავათ განთავისუფლებულნი შეიქნენ. „ფრიად საგონებელ სანახაობას წარმოადგენდა ეს სურათიო", დასძენს დამსწრე კორესპონდენტი: „ბებრები, რომელთაც უჯოხოთ ფეხის გადადგმა უჭირდათ, ძველებურათ გაუკაცურათ ცდილობდნენ სიმარდე და გულოვნობა გამოეჩინათ, ალტებით მისდევდენ სოფლელთა გროვას, რომელიც მრისხანეთ ეტანებოდა სამმართველოს „თავისიანების" გამოსახსნელათ.

**მინისტრის განკარგულება.** შინაგან საქმეთა მინისტრს, პ. ა. სტოლიპინს მოწერილობა დაუგზავნია გუბერნატორებისათვის, რომელთაც ავალებს ჩააგონონ მცხოვრებთ, რომ დაუყოვნებლივ მოასრულონ გადასახადების შემოტანა. აგრეთვე წინადადება ეძლევათ გუბერნატორებს პირადათ გაემგზავრონ იმ ადგილებისკენ, საიდანაც გადასახადები გაჭირვებით ან სულ არ შემოდის და ფიცხელი განკარგულება მოახდინონ ნედოიმკების მოსაკრეფათ. „ვინიცობაა მცხოვრებთ შეუძლებლობა დაემტკიცოთ, მაშინ სასტიკ ზომებს მიმართეთ და ჯარი შეუსიეთ ურჩებსაო".

**შიმშილობა.** უფის გუბერნიის სოფლებში მოუსავლობის გამო საშინელი შიმშილობა მძვინვარებს. ხალხი ახერხებენ, რგოთი იკვებებიან, მაგრამ ბოლო ხანებში ისიც ძნელი საშოვარი შეიქნა; ფუთი რგო 20 კ. ღირდება. ქერი ხომ ძალიან გემრიელ საჭმელათ ითვლება.

მთავრობამ გადიდო სესხი დამშეულთა სასარგებლოთ, მაგრამ ისეთი წესები შემოიღო, რომ ხალხს არავითარი დახმარების მიღება არ შეუძლიან. ვისაც სამი ცხენი გააჩნია, მას არაფერი არ უნდა მიეცეს, რადგან შეუძლიან ცხენები გაყიდოს და საზრდო შეიძინოს; თუ ცხენის პატრონს იმჟამათ შემთხვევაში უნდა მიეცეს შემწეობა და ისიც ძალიან მცირედი უნდა იყოს. შინაურ საქონლის ყოლასაც მნიშვნელობა აქვს. ოჯახში თუ მუშა ხელია, იმას არაფერი არ უნდა მიეცეს, რადგან მუშაობით შეუძლიან თავის რჩენა. ეს დალოცვილები, იმას კი არ კითხულობენ, სამუშაო იშოვება თუ არა! გადაწყვეტილი სესხის რაოდენობა მთავრობამ 25 პროცენტით შეამცირა, ხოლო დანარჩენ ჯამს საკრებულომ 20 პროცენტი დააკლო. ასე რომ, დახმარება თითქმის ერთიანათ მოსპეს. ასეთია გლეხების მდგომარეობა დღეს; რაღა იქნება დეკემბერში და შემდეგ?

**მთავრობის სააგიტაციო საშუალება.** ამ დღეებში პეტერბურგიდან დაგზავნილ იქმნენ მოხელეები საგანგებო მინდობილებით. მათ ევალებათ ბეჭდვითი სიტყვის მოწყობა დუმის არჩევნების დროს სხვა და სხვა ქალაქებში, მაგ.: ხერსონში, ეკატერინოსლავში, ელისავეტგრადში, ხარკოვში, მინსკში და სარატოვში. ყველა მოხელეებს ინსტრუქციასთან ერთათ იმ ფულებს საქმეც აქვთ მინდობილი, რომელიც სამინისტროს თვითეული ქალაქისათვის გადაუდვია. ამასთან თვითეული ქალაქისთვის გაზეთების სახელებიც პეტერბურგიდან წამოუღიათ თურმე. ერთ მათგანს, რომელიც ეკატერინოსლავში უნდა გამოვიდეს, სახელათ „ვ დუმე" ერქმევა.

**საგანგებო ბიურო.** როგორც გაზეთ „ტოვარ."-ს ატყობინებენ, მთავრობის ზოგიერთ დაწესებულებებში არსდება საგანგებო ბიურო, რომელიც თვალყურის დევნას დაუწყებს მოხელეების პოლიტიკურ მოქმედებას. მოხელის მაღლების დროს დაწესებულება უთუოთ უნდა შეეკითხოს ბიუროს, რომლის ატესტაციასაც ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ბიუროს აზრს იმ მოხელეების მიღებაზედაც ექნება მნიშვნელობა, რომლებიც ერთხელ უოფილან მთავრობის მოხელეებათ, მაგრამ თავი დაუნებებიათ და ეხლა კი ხელ ახლა მოუწადინებიათ იქ შესვლა.

**ნიჟნი ნოვგოროდის ქალაქის თავი და უმუშევართა მდგომარეობა.** ნიჟნი ნოვგოროდის დღევანდელ საჭირბოროტო საკითხს უმუშევართა მდგომარეობა შეადგენს. უმუშევრებს გამოუგზავნიათ და დეპუტაციის ხელით წარუდგენიათ ქალაქის თავისთვის პეტიცია, სადაც მოითხოვენ; რომ გამართულ იქნას მათთვის თავშესაფრები, საჩაიები, და აგრეთვე იქნას მიღებული საშუალება სამუშაოს გამოსაძებნათ. ამასთანავე მუშები დასძენენ, რომ მათ სრულებით არ სურთ შიმშილით თავის დახოცვა და ყოველ საშუალებას მიმართავენ სიცოცხლის დასაცველათ. ქალაქის თავს პეტიცია არ მიუღია და უთქვამს დეპუტაციისთვის: „მე არა მაქვს ბედნიერება ვიცნობდე ბ.ბ. უმუშევრებს; თავის დღეში არ შევხვედრივარ მათ არც ბალებს და ვეჩერებში, არც საკომერციო კლუბებშია". მაშინ უმუშევრებმა ფოსტით გაუგზავნეს პეტიცია ქალაქის თვითმართველობას. საბედნიეროთ ფოსტამ პეტიცია დანიშნულებისამებრ მიიტანა, მაგრამ ქალაქის თავმა საბჭოს ხმოსნებს მაინც ნება არ მისცა ამ საგანზე ემსჯელათ, რადგან „განსახილველ საქმეთა სიაში არ შემოტანილა ეს არა საყურადღებო საქმეო". ქალაქის მამაც ასეთი უნდა!!!

**არესტები ვარშავაში.** 29 ოქტომბერს ვარშავიდან ატყობინებენ დეპეშით: გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ვარშავაში საშინლათ გახშირდა მასიური დატუსაღება და გაჩხრეკა. გაჩხრეკის დროს ალყას არტყამენ მთელ უბანს. გუშინ დაბეჯითებით ამბობდენ, რომ ვარშავა-ვენის რკინის გზის სადგურ როგოვოსთან ფულების გატაცება მაქსიმალისტ-ექსპროპრიატორების საქმეაო. ამ უკანასკნელ დღეებში ვარშავაში 25 კაცამდე დაატუსაღეს, რომელთა მონაწილეობაც როგოვოსთან ფულების გატაცების საქმეში მთავრობას საეჭვოთ აღარ მიაჩნია.

**სოციალდემოკრატის შანდერის დატუსაღება.** 14 ოქტომბერს ს. კაზაჩინსკაში (ენისეის გუბერნიაშია) პოლიციას, გაჩხრეკების დროს, დაუტუსაღებია გადასახლებული ნაფიცი ვექილი შანდერი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი, რომელსაც ბევრი უმუშავნია რუსეთის სამხრეთ ქალაქებში. დატუსაღება შემდეგ პირობებში მომხდარა: შანდერი ექიმთან მიდიოდა საწამლით: ციმბირში ყოფნის დროს ცინგის გამო თმის ძარღვებმა ღრძობა დაუწყეს. ასეთი ავათმყოფობის გამო შანდერის წვერი მოპარსული ქონდა, რის გამოც პოლიციას ეჭვი დაებადა მისთვის, როგორც ისეთ პირისთვის, რომელიც წვერის მოპარსვით ცდილობენ სახის გამოცვლას. მას აბრალებდენ პერვუსის და დეიჩის გაქცევაში მონაწილეობის მიღებას.

თუმცა შანდერს გამოძიებამ ვერავითარი ბრალდება ვერ დაატყა თავზე, მაგრამ ის „მტერთა შესაშინებლათ" ადმინისტრაციამ მაინც ტურუხანის მხარეში გადაკარგა. ავათმყოფი, ფიზიკურათ და ზნეობრივათ მოშლილი ადამიანი, იძულებული შეიქნა გამგზავრებულიყო ახალ ჯოჯოხეთურ ქვეყანაში, სადაც 56 სხვა დასჯილიც სიკვდილის პირზედ არიან მისული. ამ მხარეში არსებულ წესწყობილების უნებურ მონებს პლევეს დროსაც კი არ ასახლებდენ, მარტო კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ მოუვეს ხელი ამ უდაბური მხარის დასახლებას.

## უცხოეთი

**საფრანგეთის მუშათა პარტიის კონგრესი ლიმოჟში.** ლიმოჟის კონგრესის შესახებ ფრანგულ გაზეთებში შემდეგი დამატებითი ცნობებია მოყვანილი: კონგრესზე წარმოდგენილი მოხსენება ცხადათ ამტკიცებს, რომ პარტიის საქმეები ფრიად აყვავებულ მდგომარეობაშია.

მუდმივ პარტიის წევრთა რიცხვი 34,658-დან მარტო აქეთ 53,945-მდე ასულა; ხოლო პარტიის კანდიდატებს უკანასკნელ არჩევნების დროს 346 საარჩევნო ოლქებში მთლათ 894,819 ხმა მიუღიათ.

კონგრესმა თითქმის ერთხმათ მიიღო საარჩევნო კანონდებულებათა სისტემის შემოღება სიებით, მაგრამ უთუოთ პროპორციონალური წარმომადგენლობა უნდა იყოს დაცული, და ქალებსაც ხმა უნდა ექნეს მინიჭებული. შემდეგ, როცა კონგრესზე პირველათ გაისმა შეურიგებელთა ხმა, კლემანსოს პირდაპირ უნდა განეცხადოთ, რომ მას სოციალისტები არასოდეს მხარს არ დაუჭერენო; წამოდგა ჟორესი და ცხარეთ გაიცხა ამნაირი წინადადება.

ის, როგორც ჩანს მისკე სიტყვებიდან, ძალიან კმაყოფილია იმ გარემოებით, რომ ახალ სამინისტრო რადიკალურ-სოციალისტურ ელემენტებისაგანაა შემდგარი, მთავრობის სათავეში რადიკალ-სოციალისტური პარტიის ყველასაგან ცნობილი მეთაური ჩადგა.

კლემანსოს სრული შეძლება ეძლევა განახორციელოს თავისი გეგმა და მისწრაფებანი და თუ ის ამას ვერ მოიმოქმედებს—ბრალი მას და მის პარტიას დაედება. სოციალისტებმა უფრო გულდაგულ ღონე უნდა იხმარონ, რომ სამინისტროს დამარცხებაში მათ არავითარი ბრალი არ დაედოთ. თუკი მთავრობა გულდაწყვეტით მოეკიდება რეფორმის გატარების საქმეს, სოციალისტები ვალდებულნი არიან მხარი დაუჭირონ მას. „ჩვენ—განაგრძო ჟორესმა—გვირჩევენ უარვყოთ და არ მოვიწონოთ მთავრობის პოლიტიკა. მათ ავიწყდებათ, რომ მთავრობა, წინააღმდეგ თავის მომხრეთა ერთი ნაწილის მოთხოვნისა, გადაწყვეტს დააკანონოს ყოველ კვირეული დასვენება, იძულებული შეიქნება დასვას კითხვა შრომის სამინისტროს ნდობის შესახებ—ნუ თუ მაშინ ჩვენ მივემხრობით მის მოწინააღმდეგებს და ჩვენივე ხელით გავუთხრით საფლავს იმ კანონს და იმ დაწესებულებას, რომელსაც ამდენიხანი დავნატროდით და რომლის დამყარებისათვის ამდენხანს ვიბრძოდით? თუ ჩვენ, სოციალისტები, რაც უნდა გახდეს, მაინც ომის გამოცხადებას დავუპირებთ ახალ სამინისტროს და ვეცდებით მის დამარცხებას, გინდა შესუსტებას, ეს ძალიან საზიანო საქმე იქნება.

გამბეტას სამინისტრო ერთ დროს პოლიტიკურ ინტრიგანებთა კოალიციამ დაამხო. ამის შედეგი ის იყო, რომ საფრანგეთი რამოდენიმე წლით უკან დაიქცა და ჩავარდა ბურჟუაზიულ ოპორტუნიზმის მორევში. ძალიან სამწუხარო იქნება, რომ კლემანსოს სამინისტროთ რომელიც შეიძლება დიდებული სამინისტრო გახდეს, სოციალისტების და პირადი მტრების—რადიკალების მეოხებით დაიმხოს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანაა ერთი კითხვა: ექნება კლემანსოს სამინისტროს შემუშავებულ რეფორმათა პროგრამა თუ არა, აგრეთვე ის მტკიცეთ შეეცდება ამ რეფორმების ცხოვრებაში გატარებას თუ არა? თუ მას ასეთი პროგრამა არ ექნება, ის რამოდენიმე დღესაც ვერ იარსებებს. ხოლო თუკი, რაც მე ასე ცხელით მსურს, კლემანსო და მისი თანამშრომლები გაიგებენ დღევანდელ მომენტის მოთხოვნებს, ისინი, იმედი მაქვს, შესძლებენ თავის გარშემო დემოკრატიული ძალების მოყრის".

ერთი სიტყვით, ჟორესმა წინადადება მისცა კონგრესს, რომ მას ხელები არ შეეკრა პარლამენტში სოციალისტურ დეპუტატებისათვის, ხოლო დავალებია მათთვის ნათლათ დაიცვან პარტიული ინტერესი და პრინციპები და მუდამ ნუ გაუწევენ სამინისტროს მომხრეობას.

## დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).
6 ნოემბერი

**პეტერბურგი.** სტახოვიჩმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა 17 ოქტომბრის კავშირის საერთო კრებას: „სამოსამართლო პალატის საყურადღებო სესია ნებას არ მაძლევს დავესწრო თქვენ კრებას, რომ გამოვსთქვა ჩემი უკიდურესი რწმენა ყველა ზომიერ პროგრესისტების შეერთების აუცილებლობის შესახებ, არჩევნების დროს, რევოლიუციონერებთან საბრძოლველათ. ეს არის მომავალი დუმის იმედი, რომლის მეოხებითაც მას შეუძლია დაამყაროს რუსეთში კონსტიტუცია."

**პეტერბურგი.** მშვიდობიან განახლების პარტიის საერთო კრებამ, გეიდენის თავმჯდომარეობით, დაადგინა დაარსონ ყველა ნაწილებში კომიტეტები, რომლებიც თავიანთ მოქმედებით დაკავშირებული იქნებიან ქალაქის კომიტეტთან. ერთ წევრის მიერ აღძრულ საკითხს შესახებ პარტიის პროგრამაში ებრაელთა საკითხის ბუნდოვანათ დაყენების გამო, კრებამ წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა ამ კითხვას ცალკე გამოყოფის შესახებ.

**ვლადიმირი.** მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის განკარგულებით ანდრეევის სტამბაში კადეტების მოწოდება დააპატიმრეს. გაზეთ „ვლადიმირის" რედაქცია გაჩხრიკეს.

**რომი.** წმინდა პეტრეს ტაძარში დღისით 5 ნოემბერს წირვის დროს აფეთქება მოხდა. ხალხიდან არავინ დაშავებულა. იპოვნეს თუნუქის კოლოფი, რომელიც თოფის წამლით და ლურსმნებით იყო გატენილი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1000 ლირა საჩუქარი შეპირდა, ვინც დამნაშავეს აღმოაჩენს.

**პეტერბურგი.** ხუთ ნოემბერს მიწის მესაკუთრეთა კავშირის კრებამ გენერალ პლატონოვის თავმჯდომარეობით პრინციპიალურათ მოიწონა კავშირის ცენტრალურ საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი მემამულეთა საურთიერთო დაზღვევის აგრარულ მოძრაობისაგან, და დაადგინა მოიწვიოს 17 ნოემბერს კავშირის საიმპერიო სიეზდი.

**ვარშავა.** დაიჭირეს ორი ხელმძღვანელი ინტელიგენტი და 20 მონაწილე როგოვოში საფოსტო მატარებელზე თავდასხმაში. თავდასხმა ვარშავის და ლოძის პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წევრების მოწყობილი იყო.—დაიჭირეს შვიდი კაცი, რომლებიც განზრახვა ქონდათ ვარშავა-პეტერბურგის რკინის გზის მატარებელზე თავდასხმა. მათ ათი ბომბა აღმოაჩნდათ.—დაიჭირეს გრაფ სტენბოკის მოკვლის გამზრახველნი და კოვნოს კამანდის უფროსის იაკოვლევის მკვლელნი.

**პეტერბურგი.** ორ ნოემბერს დაჭრილ [illegible] ხმელნიკოვს, შეიარაღებულ თავდასხმისთვის, უვადო კატორღა გადაუწყვიტეს.

**ვარშავა.** ყველზნი ქუჩაზე რვა შეიარაღებული კაცი თავს დაესხა სახელმწიფო არაყის დუქნის მერიკლეს, რომელსაც ორი სალდათი ახლდა. სამი მათგანმა სროლა აუტეხა მერიკლეს, ის გაიქცა და ქუჩაში დააგდო ჩანთა 1960 მანათით. დანარჩენი ხუთი თოფებით ეცენ სალდათებს და ერთი მათგანი მოკლეს, მეორე სალდათი ხელიდან გაუსხლტათ, და სროლა დაიწყო. თავდამსხმელნი გაიქცენ. ერთი მათგანი დაიჭრა და დაიჭირეს. ფულის წაღება ვერ მოასწრეს.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს განაჩენი ვექილ ზარუდნის, სოკოლოვის, ელისეევის და სხვების შესახებ, რომელთაც 15 ოქტომბერს 1905 წ. სასამართლოს შეურაცხყოფისთვის შვიდი დღით დაპატიმრება გადაუწყვიტეს. ბრალდებულნი სენატში ასაჩივრებენ საქმეს.

**ელისავეტპოლი.** ჭაქანშარის მაზრის უფროსის ფლეგონტოვის მოკვლის გამო ეჭვით დაპატიმრებულ პერმანბეკს სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა და თან შუამდგომლობა აღძრა სასჯელის შემსუბუქების შესახებ.

**სევასტოპოლი.** გაზეთ „კრიმსკი ვესტნიკ"-ის რედაქტორი სპირო გენერალ-გუბერნატორმა 100 მანათით დააჯარიმა. გაზეთის ნომრები დაიჭირეს, რედაქტორი ციხეში ზის, რადგან ჯარიმა არ გადაიხადა.

**ვილნო.** დარაჯის მოკვლის გამო ორკოვსკის შუკერტოვიჩს და შვარცს ჯარის უფროსმა სიკვდილით დასჯა კატორღით შეუცვალა.

**ყაზანი.** კრესტოვნიკოვის ქარხანაში დაატუსაღეს მებრძოლი რაზმი. დაიჭირეს აგრეთვე თათრების სტამბა.

**მოსკოვი.** ბელენცოვის შესახებ საქმის გამოძიება დასრულდა, ბელენცოვი უკვე ხდება. საქმე დეკემბრის პირველ რიცხვებში გაირჩევა საოლქო სასამართლოში.

**სევასტოპოლი.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ დაასრულა ადმირალ ჩუხნინის მოკვლის შესახებ საქმის გამოძიება. ბრალს სდებენ სამ მატროსს, რომლებმაც მკვლელობის დასაჭერათ ზომები არ მიიღეს. საქმეს ამ თვეში განიხილავენ. საპატიმროს ყაზარმების სატუსაღოდან გაიქცა სამი ტუსაღი მატროსი. მათ სატუსაღოს კედელი გაანგრიეს და ისე გავიდნენ.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

21 აგვისტოს დ. ცხინვალში მე მომიკლეს მამა, ცხინვალის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი დოროთეოზ სიმონისძე წინამძღვარიშვილი. ადგილობრივი საზოგადოება, რომელმაც 18 წლის განმავლობაში მიუხედავათ ყოველ გვარ ჭორებისა, რომელსაც ავრცელებდნენ მისი პირადი მტრები, პატიოსან მოხუცათ სცნობდა, აღშფოთებული იყო ამ მკვლელობით და დიდათაც თანამგრძნო ჩემს უბედურებაში. ახალგაზდობამ შეადგინა ხორო, როგორც გავიგე შემდეგ, ადგილობრივი ორგანიზაციის წევრის თაოსნობით და დასაფლავებაზე პატივი სცა მამაჩემს, რისთვისაც მე დიდ მადლობას ვუცხადებ.

მე არ გამოვუდგები იმას, თუ ვინ იყვნენ მკვლელობის ჩამდენნი. მე მხოლოდ ვთხოვ ამხანაგთ, ცხინვალის, გორის და თფილისის ორგანიზაციის წევრებს, რომელთაც პირადათ თანამგრძნეს, გაზეთის საშუალებით გამოსთქვან აზრი: აქვთ თუ არა მათ საბუთები, რომელნიც მამაჩემს სიკვდილის ღირსათ ხდიან. თუ აქვთ, მეც მათთან ერთათ დავგმობ მამიჩემის სახელს, ხოლო თუ არა, გაზეთითვე გამოუცხადონ ხალხს, რომ მამაჩემი მათი გადაწყვეტილებით არაა მოკლული, რომ მათ არა აქვთ საბუთი თანაუგრძნონ ამ მკვლელობას. მამაჩემის შესახებ ავრცელებდენ სხვა და სხვა ხმებს. არიან ეხლაც პირნი, რომელნიც საერთო თანაგრძნობით უბრალო მდგომარეობაში ჩავარდნილნი, ცდილობენ ბეჭვში ამოავლონ მამიჩემის სახელი იქ, საიდაც მას კარგათ არ იცნობენ. ამ უკანასკნელთ თავის დროზე მე სამედიატორო სამართალში გამოვიწვევ. მაგრამ საჭიროა ჯერ ორგანიზაციებმა გამოარკვიონ: იქნენ თუ არა მათ შეხედულობაში ეს ხმები იურიდიულ ან ზნეობრივ საბუთებათ იმისა, რომ ხალხმა მამიჩემის გვამს თვისი მოღალატის გვამი უწოდოს?

დავითები და სხვ. სტუდენტი ხარკოვის უნივერსიტეტისა მიხეილ დოროთეოზის ძე წინამძღვარიშვილი. *)

*) როგორც ჩვენ შევიტყვეთ, მოხუცი წინამძღვრიშვილი მოკლა უბრალო ყაჩაღებმა და ს. დ. ორგანიზაციას ამ მკვლელობაში არავითარი წილი უდევს. რედ.

რედაქ.-გამომცემელი ი. ოტიაშვილი.


## განცხადებანი

წიგნების მაღაზია
„განათლება"
(ОБРАЗОВАНIЕ)
მიხეილის ქ. № 78.

ბებელი. მსოფლიო გამოცანები . . . 80
ა. გოფმანი. ათი მცნება და მდიდარი კლასები . . . 20
გ. დიცგენი. რელიგია სოციალ-დემოკრატიისა . . . 12
მ. გუმპლოვიჩი. ქორწინება და თავისუფალი სიყვარული . . . 8
ფ. ლასალი. I, II, III სულ . 8 მ. 75
ე. რენანი. ცხოვრება იესოსი . . . 35
[illegible]. თარგმანი კრილოვისა . . . 40


...მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" თფილისი, მიხეილის ქუჩა, № 65.